პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 26 მარტი, 1950 წ. № 65 (8625). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

ახალი წარმატებებისათვის საზოგადოებრივ მეცხოველეობაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
ფართოდ გავშალოთ საკირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (მე-2 გვერდი).
პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად (მე-2 გვერდი).
კოლმეურნეებმა ამხილეს ნაკლოვანებანი (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-3 გვერდი).
ალ. მერცხულავა—პარტიის კასკის რაიკომის მუშაობის მეთოდ-ვანებათა შესახებ (მე-3 და მე-4 გვერდი).
ვ. რისაკოვი—საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

## ახალი წარმატებებისათვის საზოგადოებრივ მეცხოველეობაში

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ და მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარების ამოცანა დასახეს, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანა სოფლის მეურნეობაში.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 18 აპრილის დადგენილების — „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949-1951 წლები)" — შესრულების მიმდინარეობის შესახებ". ამ დადგენილებაში შეჯამებულია გასულ წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში მოპოვებული წარმატებანი და მოცემულია მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობის ბოლშევიკური პროგრამა. ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელებმა, განუხრელად ახორციელებდნენ რა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს, 1949 წელს მიაღწიეს პირუტყვისა და ფრინველის სულადობის მნიშვნელოვან ზრდასა და პროდუქტიულობის გადიდებას. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს მეცხოველეობის ახალი ფერმების შექმნისა და პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. 1949 წელს საბჭოთა კავშირში მოწყობილია მეცხოველეობის 72 ათასამდე ახალი ფერმა და მეფრინველეობის 48 ათასამდე ფერმა. 1949 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 22 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 27 პროცენტით. ომამდელ 1940 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 27 პროცენტით მეტი გახდა. კოლმეურნეობებში ცხვრისა და თხის სულადობა 1949 წელს 19 პროცენტით გადიდდა და ომამდელ 1940 წელთან შედარებით 44 პროცენტით მეტი გახდა. კოლმეურნეობებში ღორის სულადობა 1949 წელს 78 პროცენტით გაიზარდა და ომამდელ 1940 წელთან შედარებით 16 პროცენტით მეტი გახდა. შარშან კოლმეურნეობებში ფრინველის სულადობა ერთიორად და მეტად გადიდდა და 48 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

„კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის 1949 წელს მიღწეულმა აღმავლობამ, — ნათქვამია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — უზრუნველყო სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხის, მატყლისა და ტყავის ნედლეულის მიწოდების მნიშვნელოვანი გადიდება. 1949 წელს მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ, რომ საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობა საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივ მეცხოველეობასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო გაბატონებული ხდება, როგორც ხვედრითი წონით პირუტყვის საერთო რაოდენობაში, ისე მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებაში".

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე საკვების დამზადებისა და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის, საჯიშე საქმის გაუმჯობესების, ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების, მეცხოველეობის კადრების მომზადების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებანი.

ამასთანავე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებაში და დაგვისახეს მათი გამოსწორების, სამწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სერიოზულ მუშაობას ეწევიან საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის სამწლიანი გეგმის განსახორციელებლად. კოლმეურნეობებში განუხრელად იზრდება პირუტყვის სულადობა. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების 1949 წლის დავალება. შესამჩნევად გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა, კვება, ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურება. ამასთან ერთად მეცხოველეობის განვითარების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მეცხოველეობის მუშაკების წინაშე ახალ საბრძოლო ამოცანებს სახავს. უწინარეს ყოვლისა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან გააძლიერონ მუშაობა საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, გამოასწორონ მდგომარეობა და უზრუნველყონ 1950 წელს სეზონური საძოვრების ახალი ტერიტორიების ათვისება, საძოვრებზე ჭების ამოღებისა და შეკეთების გეგმების შესრულება, საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნა, პირუტყვისათვის ბინების მშენებლობა და შეკეთება და მიიღონ ზომები, რათა საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნან კოლმეურნეებსა და სპეციალისტებს, რომლებიც სეზონურ საძოვრებზე მომსახურებას უწევენ პირუტყვს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს არ შეუსრულებია საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურების მშენებლობის 1949 წლის გეგმა. უეჭველია, მეცხოველეობის მუშაკები სათანადო დასკვნას გააკეთებენ ამ მითითებიდან და მიაღწევენ აღმავლობას საზოგადოებრივი მეფრინველეობის განვითარებაში.

პირუტყვისათვის საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალწლიანი ბალახების თესვას. ამ მიზნით საქართველოს კოლმეურნეობებმა 1949 წელს 1948 წელთან შედარებით საკვები კულტურების ნათესი ფართობი გაადიდეს 21 პროცენტით, აქედან ნათესი ბალახისა—16 პროცენტით.

მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვისათვის მრავალწლიანი ბალახების თესლი რესპუბლიკაში გამოყოფილია მეტი, ვიდრე შარშან. მაგრამ ასპინძის, ქარელის, კასპის, ბორჯომის, წალკისა და საგარეჯოს რაიონებმა ვერ უზრუნველყვეს თავი 1950 წლის თესვის გეგმის შესასრულებლად მრავალწლიანი ბალახების საკმაო რაოდენობის თესლით. ამოცანა ის არის, რომ გამოვასწოროთ ეს ნაკლი, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ბალახების თესვის გეგმა.

მეცხოველეობაში დაიწყო პასუხსაგები პერიოდი — ნამატის მიღების პერიოდი. ზოოტექნიკოსთა და ვეტერინარ ექიმთა ვალია გააძლიერონ კოლმეურნეობებისადმი დახმარება მიღებული ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის.

საქართველოს მეცხოველეობის მუშაკები მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად დიდი ინტერესით ეცნობიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის (1949-1951 წლები)" — შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის მუშაკები ახალ კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ და ამასთანავე ბოლშევიკურად აჩაღებენ ბრძოლას ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება საფუძვლიანად უნდა გავაცნოთ ყველა კოლმეურნეს, მეცხოველეობის ფერმის ყველა მუშაკს. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მეცხოველეობის მუშაკთა შორის, ყოველდღიურად კონკრეტულად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები დაირაზმოთ იმ ახალი პასუხსაგები ამოცანების შესასრულებლად, რაც დასახულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით.

## დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა

**ქარელი.** (სპეც. კორ.). 22 მარტიდან დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. პირველი ჰექტარები დათესეს სოფელ ქარელის ბერიას, ქვენატკოცის ჩარკვიანის, კეხიჯვრის ფრუნზეს სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ჭარხალი ძირითადად ითესება მექანიზებული წესით. წელს მოირწყვება 150 ჰექტარით მეტი ჭარხალი, ვიდრე 1949 წელს.

კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს შაქრის ჭარხლის თესვა დაამთავრონ ვადაზე ადრე — 7 აპრილისათვის.

სულ რაიონში დაითესება 1.500 ჰექტარი ჭარხალი.

# ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

## გარდამავალი დროშა— შეჯიბრებაში გამარჯვებულებს

**სოხუმი.** (საკ. კორ.). 1949 წელს გაგრის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. რაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა 1.700 ტონა თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.071 ტონისა, 4 მილიონი ცალით მეტი ციტრუსი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მნიშვნელოვნად გადიდდა სიმინდის მოსავლიანობა.

რაიონს წარმატებები აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, ხეხილის ბაღებისა და ევკალიპტის გაშენების, აგრეთვე აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

გასულ წელს კოლმეურნეობების საერთო შემოსავალიავიდა 52 მილიონ მანეთამდე. რაიონის 33 კოლმეურნეობიდან მილიონერი გახდა 24 კოლმეურნეობა.

ამ დღეებში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ შეკრებაზე საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა გაგრის რაიონს.

შეკრების მონაწილეებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში, მიმართეს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებს ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1950 წელს უხვი მოსავლის მოსაყვანად.

## ქალაქ გორის ქუჩების რეკონსტრუქცია

საქართველოს სამშენებლო ტრესტმა დაიწყო ქალაქ გორის ქუჩების რეკონსტრუქცია. ჯერჯერობით მიმდინარეობს სტალინის სახელობის პროსპექტის, ოსტროვსკის, ჭავჭავაძისა და ჯუღაშვილის ქუჩების რეკონსტრუქცია.

მთლიანად ქუჩების რეკონსტრუქცია 6 მილიონი მანეთი დაჯდება.

## კერამიკული კომბინატის მშენებლობა

ტრესტი „საქმშენი" ქ. თბილისში, შაუმიანის ქუჩაზე აშენებს კერამიკული კომბინატის მეორე რიგს, რომელიც წელს უნდა დამთავრდეს. აქვე შენდება ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი.

## ფართო მოხმარების საშენი მასალის ბაზა

**ხაშური.** (საკ. კორ.). ხაშურში გაიხსნა ფართო მოხმარების საშენი მასალის ბაზა. ბაზას დიდი რაოდენობით მოეპოვება ხე-ტყე, ლურსმანი, ცემენტი, მინები, წყლის მილები, ფანერი და სხვ.

რაიონის კოლმეურნეობებსა და კერძო დამკვეთლებს ბაზიდან ყოველდღე გააქვთ სხვადასხვა საშენი მასალა. ზემო ოსიაურის კოლმეურნეობამ ფერმის ასაგებად შეიძინა 120 კუბმეტრი დახერხილი ხის მასალა.

მომხმარებელთა უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ბაზა აშენებს სახერხ ქარხანას. შენდება აგრეთვე კანტორის შენობა.

## მეცხოველეობის განვითარების ბოლშევიკური პროგრამა

**სტალინირი.** (საკ. კორ.). მეცხოველეობის მუშაკები ეცნობიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის (1949-1951 წლები)" — შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ისინი იწონებენ ამ დადგენილებას და კისრულობენ ახალ ვალდებულებებს.

ლენინგორის რაიონის სოფელ ნახიდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. მჭითურმა დადგენილება რადიოთი მოისმინა. მან თქვა:

— ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებაში შეჯამებულია მეცხოველეობაში მოპოვებული მიღწევები და დასახულია მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების ბოლშევიკური პროგრამა. ახლა ჩვენ ფერმებში იმდენი სული პირუტყვი გვყავს, რამდენიც 1953 წლისათვის უნდა გვყავდეს. მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს. ეს დადგენილება გვავალებს უფრო გავაუმჯობესოთ მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის და ამას გავაკეთებთ კიდეც.

სოფელ იკოთის კოლმეურნეობის „ლენინის გზით" მეძროხეობის ფერმის სტახანოველი იოსებ ნიაური ამბობს: პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ გვიჩვენა მრავალი შესაძლებლობანი, რომელთა მთლიანი გამოყენებით სწრაფად წავიწევთ წინ საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებას. დაიწყო ნამატის მიღება. პირობას ვიძლევი მთლიანად შევინარჩუნოთ და გამოვზარდოთ ნამატი.

სოფელ ყანჩაეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწველავი ნ. ტატუნაშვილი იმისათვის იბრძვის, რომ შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტით გაზარდოს წველადობა.

კოლმეურნეები უკვე შეუდგნენ მზადებას საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის გასარეკად.

## იბრძვიან ნამატის შენარჩუნებისათვის

**დუშეთი.** (საკ. კორ.). მეცხოველეობის მუშაკები ახალი შრომითი აღმავლობისათვის აღაფრთოვანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ.

— პარტია, მთავრობა, დიდი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, — განაცხადა სოფელ მაქართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მწველავმა მაშო წიკლაურმა. შარშან 10 ძროხა მებარა. მიღებული ათივე ხბო გამოვზარდე, საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მივიღე 1.130 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 750 ლიტრისა. ახალი დადგენილების პასუხად ვკისრულობ თვითეულ ძროხაზე მივიღო 1.500 ლიტრი რძე.

სოფელ ჩოხის კოლმეურნეობა „შრომის დროშის" მწველავებმა მარიამ წიკლაურმა და მართა ჩოხელმა შარშან შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს: პირველმა 11 ძროხისაგან მიიღო და შეინარჩუნა 12 ხბო, ხოლო მეორემ 11 ძროხისაგან თერთმეტივე ხბო, ორივემ ერთნახევარჯერ გადააჭარბა წველადობის დაწესებულ ნორმებს. ახლა მათ იკისრეს მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი და მიიღონ ერთიორად მეტი რძე, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

მეცხოველეობის მუშაკები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით აძლიერებენ გაწეულ მუშაობას, ამხელენ ნაკლოვანებებს და სახავენ ღონისძიებებს მათი ლიკვიდაციისათვის. მიმდინარეობს დოლი, ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მიღებულია 40 ათასზე მეტი ბატკანი. მეცხოველეობის მუშაკები დიდ ყურადღებას აქცევენ ნამატის შენარჩუნებას.

## სოციალისტური შრომის გმირების შეჯიბრება

**მახარაძე,** (კომ. კორ.). ზინა ბაჯელიძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიაღწია სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მიღებას სოფელ განახლების (მახარაძის რაიონი) ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში, მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება 1948 წელს ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის მიენიჭა.

წელს ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების წინ ზინა ბაჯელიძემ გადიდებული ვალდებულება იკისრა: 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 9.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, გამოზარდოს ჩაის კრეფის ორი სტახანოველი.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის მან პირველი რიგის სამუშაოები უკვე დაამთავრა. 45 სანტიმეტრის სიღრმეზე დაბარა 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ნიადაგში შეიტანა მინერალური და ორგანული სასუქები. შეუდგა ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმებას.

ზინა ბაჯელიძე ეჯიბრება სოფელ თხინვალის ჩაის კრეფის სტახანოველს სოციალისტური შრომის გმირს თინა ხურციძეს.

## საინკუბაციო სადგურის მშენებლობა

**ამბროლაური.** (საკ. კორ.). ამბროლაურის რაიონში დაიწყო სარაიონთაშორისო საინკუბაციო სადგურის მშენებლობა. მშენებლობისათვის ადგილზე მიტანილია საჭირო რაოდენობის საშენი მასალა. აქ მოეწყობა საკუთარი ელექტროსადგური. შეძენილია აგრეთვე ორი ცალი ინკუბატორი.

საინკუბატორო სადგურის მშენებლობაზე დაიხარჯება 1 მილიონი მანეთი.

## მოხნულია 45.389 ჰექტარი

მარტის მეოთხე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურების დასათესად მოხნეს 16.853 ჰექტარი, სულ 20 მარტისათვის კი—45.389 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 14,9 პროცენტით.

ხვნის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს გარდაბნისა და ლაგოდეხის რაიონებმა. წითელწყაროს რაიონში გეგმა შესრულებულია 90,4 პროცენტით, მარნეულის რაიონში—91, ბოლნისის—76,1, ყვარლის—76,4, თბილისის გარეუბნის—69, კაჭრეთის—62,7, სიღნაღის—59, საგარეჯოს—26,8, დმანისის—14, მცხეთის—25,8, ახმეტის — 42, თელავის—35,1, გურჯაანის—32,6, თეთრი წყაროს—9,3, დუშეთის—6,5, კასპის—13,3, გორის—6,8 პროცენტით. ხვნა დაწყებულია აგრეთვე აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში და აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ფოთის, ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის რაიონებში, სადაც გეგმა შესრულებულია 1-45-მდე პროცენტით.

## დათესილია 16.918 ჰექტარი

20 მარტისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილია 16.918 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, აქედან თავთავიანი მარცვლეული კულტურები—6.818 ჰექტარი, გეგმის—8,2 პროცენტი, კარტოფილი—313 ჰექტარი, ბოსტნეული—1.102, მრავალწლიანი ბალახი—252, ერთწლიანი ბალახი —65 ჰექტარი.

საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა აფხაზეთში შესრულებულია 0,8 პროცენტით, სამხრეთ ოსეთში—0,6, წითელწყაროს რაიონში—34,7, ყვარლის—25,1, თბილისის გარეუბნის — 25,4, სიღნაღის—24,2, კაჭრეთის — 23,6, საგარეჯოს—13,6, ბოლნისის — 7,6, მარნეულის—0,8, გარდაბნის—8,3, მცხეთის—7,9, ლაგოდეხის—4,5, ახმეტის—10,3, თელავის—10,1, გურჯაანის—10,2, თეთრი წყაროს—5,3, დუშეთის—0,8, წალკის—0,7, კასპის—5,6, გორის—2,7, ქარელის—3,1, ქუთაისის —2,8, წყალტუბოს რაიონში—0,1 პროცენტით.

თავთავიანი მარცვლეულის თესვის გეგმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესრულებულია 1,4 პროცენტით, წითელწყაროს რაიონში—351 პროცენტით, ყვარლის—124,3, სიღნაღის—101,3, თელავის—100,8, გურჯაანის—98,6, ლაგოდეხის—97, ბოლნისის—88,2, საგარეჯოს—48,2, მცხეთის—43,2, თბილისის გარეუბნის — 42,4, ახმეტის—66,7, თეთრი წყაროს —11,8, კაჭრეთის—66,7, დუშეთის — 2,3, წალკის—0,8, კასპის—32,7, გორის 14,8, ქარელის რაიონში—17,8 პროცენტით.

მზესუმზირას თესვის რესპუბლიკური გეგმა 47,8 პროცენტით არის შესრულებული. თელავის რაიონში გეგმა შესრულებულია 104,4 პროცენტით, ყვარლის—102, ახმეტის—83,3, წითელწყაროს—63,9, მცხეთის — 78,7, კაჭრეთის—60,8, გურჯაანის — 49,7, თეთრი წყაროს—33,4, სიღნაღის—35,5, ლაგოდეხის—28, თბილისის გარეუბნის —34,4, საგარეჯოს რაიონში—18,9 პროცენტით.

## ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი შ რ ო მ ი ს გ მ ი რ ე ბ ი



**ხ. ა. გეგიძე**
ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.056 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



**მ. მ. მშვიდობაძე**
ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.074 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



**ჯ. ი. ტაკიძე**
ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.116 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



**ო. შ. წიქარიძე**
ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 230 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 486 ლიმონის მოყვანისათვის.

# მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების საკავშირო სახლის მუშებმა, მხატვრებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

რსფსრ ფინანსთა სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

საბჭოთა წითელი ჯვრის აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკებმა;

რსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკებმა;

სსრ კავშირის „ცენტროსოიუზის" მუშაკებმა;

ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა კოლექტივმა;

რსფსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

რსფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა;

რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და გამომცემლობის თანამშრომლებმა;

მინსკის კრუპსკაიას სახელობის ჯაგრისების ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს № 3 სახელმწიფო კარტოგრაფიული ფაბრიკის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტმა;

ყაზახეთის კ. პ (ბ) აკმოლინსკის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სარანსკის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

გაზეთ „კზილ-უზბეკისტანის" რედაქციის კოლექტივმა;

კალინინის საოლქო გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდის" რედაქციის კოლექტივმა;

აზერბაიჯანის პიონერთა ცენტრალური სახლის მუშაკთა კოლექტივმა;

მოსკოვის ტერმიტულ-საისრე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ;

ქ. მოსკოვის მოსკვორეცკის რაიონის კომუნალური ტრესტის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

კუიბიშევის ოლქის უტევკის რაიონის კულეშოვის მტს-ის მექანიზატორთა კოლექტივმა;

კიროვოგრადის ოლქის კომპანიევკის მტს-ის მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლენინგრადის არტელ „ელექტროობორუდოვანიეს" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლატვიის რკინიგზის ჩიეკურკალნის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ტრესტ „ესტონსლანცესტროის" სარემონტო-მექანიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

დონის როსტოვის ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის შუშის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კალუგის ოლქის პავლინოვსკის ხელოვნური წისქვილის ქვების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტაგანროგის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ნიკოლაევის ოლქის ნოვო-ბუგის ზოოვეტკადრების სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მუშებმა;

კუიბიშევის სავაგონო დეპოს მუშებმა, მოსამსახურეებმა და მეთაურებმა;

პინეგის ხე-ტყის დამცურებელი კანტორის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტაშკენტის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კურსკის ტრამვაის ტრესტის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტიუმენის ოლქის ბაგაისკის სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტაგანროგის მეფუტკრეობის ინვენტარის მექანიკური ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

როსტოვის საოლქო ავტოსატრანსპორტო ტრესტის სამმართველოს და მისი ცენტრალური ავტოსარემონტო სახელოსნოების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ბრესტ-ლიტოვსკის რკინიგზის პინსკის სალიანდაგო დისტანციის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

უკრაინის ტრესტ „კრახმალპატოკას" კიევის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

უკრაინის სსრ ვაჭრობის სამინისტროს მუშაკებმა;

რსფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა, ასპირანტებმა და თანამშრომლებმა;

პინსკის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტებმა, მასწავლებლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სტალინგრადის ოლქის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „ვოდიანსკის" მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

ბარნაულის ფეხსაცმლის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და ამიერკავკასიის სახელმწიფო მანქანა-საცდელი სადგურის მუშაკთა კოლექტივმა;

ბალაშოვის სამდოგვე-ზეთსახდელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ბაქოს ტრესტ „ორჯონიკიძენეფტის" № 3 სარეწის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის ტურკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „პამიატკას" მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

კუიბიშევის რკინიგზის სადგურ ჩაპაევსკის რკინიგზელთა კოლექტივმა;

ტრესტ „სევეროლესის" № 2 ხე-ტყის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ბაქოს ტრესტ „ორჯონიკიძენეფტის" ნავთსაქაჩის კანტორის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს კურსკის ქარხანა „სჩოტმაშის" მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ესტონეთის რკინიგზის ტალინ-ვაიკეს საორთქლმავლო დეპოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ბლაგოვეშჩენსკის ეობო-კარაქის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა;

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ.

(გაგრძელება იქნება)

ფართოდ გავშალოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

# თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წერილი თბილისის საწარმოთა კოლექტივებს

22 მარტს კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში შედგა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელიც მოწვეული იყო პროფესიული და პარტიული ორგანიზაციების, აგრეთვე მოწინავე სტახანოველთა ჯგუფის ინიციატივით საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხის განსახილველად.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს მესამე ამწყობი საამქროს უფროსმა ი. ქურდაძემ, ხარატმა ვ. მოსესოვმა, სტახანოველმა ზეინკალმა ი. ფირცხალავამ, უფროსმა ოსტატმა ი. პოგრებეცკიმ და ინჟინერმა თ. დავითაშვილმა. ორატორებმა თავიანთ საამქროთა კოლექტივების დავალებით ჩამოთვალეს ის კონკრეტული საწარმოო ვალდებულებები, რომელთა განაღდებასაც კისრულობენ მუშათა საერთაშორისო დღესასწაულის — 1 მაისის შესახვედრად.

კრებაზე ერთხმად მოიწონეს წერილი, რომლითაც ამ ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მიმართეს საქართველოს დედაქალაქის ყველა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს. წერილში ნათქვამია:

„ჩვენ, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, გავითვალისწინეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად შევასრულოთ შემდეგი ვალდებულებები:

1. ავითვისოთ და 1950 წლის 1 მაისისათვის გამოვუშვათ რამდენიმე ახალი მოდელის სპეციალური დაზგა;

2. საპირველმაისო დღესასწაულისათვის სამშობლოს მივცეთ გეგმის გადამეტებით ათეულობით სხვადასხვა დაზგა;

3. გამოვუშვათ საგრძნობი თანხის ზეგეგმითი პროდუქცია;

4. ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება 1949 წელს მიღწეულ დონესთან შედარებით 11 პროცენტით;

5. შევაგროვოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 1.860 ტონა ლითონის ჯართი;

6. 50 მუშას შევასწავლოთ ჩქაროსნული მუშაობის მეთოდები და მრავალ დაზგაზე მუშაობა.

წინადადებით მივმართავთ თბილისის სამრეწველო საწარმოთა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს, აქტიურად ჩაებან საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების მისაღწევად".

# ფეიქრები იბრძვიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა იანვარსა და თებერვალში დაზოგეს 23.300 კილოგრამი მატყლი, გეგმის გადამეტებით მოქსოვეს 39.000 მეტრი ქსოვილი, 0,9 პროცენტით გაადიდეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. 21 მარტისათვის მათ უკვე შეასრულეს მზა პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა და ამჟამად ყოველდღე ათასობით მეტრ ზეგეგმით ქსოვილს უშვებენ.

მოწინავე თბილისელ დაზგათმშენებელთა გამოწვევით ფაბრიკის მთელი კოლექტივი დარაზმულად ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა 1 მაისისათვის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 20.000 მეტრი ქსოვილი, დაზოგოს 10 ტონა მატყლი, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება რთვის დარგში 10 პროცენტით, ქსოვის დარგში — 5 პროცენტით.

ამ გადიდებული საწარმოო ვალდებულების შესრულებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ფაბრიკის საამქროები. აპრილის გეგმის 105 პროცენტით შესრულება და 4 ტონა მატყლის დაზოგვა იკისრა სტახანოვურმა კამვოლურმა საამქრომ, რომელმაც 99,6 პროცენტამდე აიყვანა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. მანვე იკისრა ამაღლოს წარმოების კულტურა და გეგმასთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდოს მუშების საშუალო გამომუშავება.

საქსოვი საამქროს კოლექტივმა იკისრა გეგმის გადამეტებით გამოუშვას 25.000 მეტრი ხამი ქსოვილი და დაზოგოს 1.500 კილოგრამი ნართი. მაუდის საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა 105 პროცენტით შეასრულოს აპრილის გეგმა და დაზოგოს 1 ტონა ნედლეული. ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს მატყლის სარეცხმა, სამღებრო-სააპრეტურო და სხვა საამქროებმაც.

# კოლმეურნეებმა ამხილეს ნაკლოვანებანი

თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობა „სოციალიზმის კარიდან" გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას კოლმეურნეები სწერდნენ: ჩვენს კოლმეურნეობას შეუძლია მოწინავე იყოს. მას დიდი რაოდენობით აქვს უხვმოსავლიანი სახნავ-სათესი მიწები, ვენახები, ბაღები, ბოსტნები, აქვს ფერმები, ჰყავს მოწინავე ადამიანები, მცოდნე და საერთო საქმისათვის თავდადებული მუშაკები. მაგრამ ეს საშუალებები აქ სათანადოდ არ არის გამოყენებული...

წერილში შემდეგ ჩამოთვლილი იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების მრავალი ფაქტი. ასეთივე სიგნალი მიიღო პარტიის თელავის რაიკომმაც.

საქმის ადგილზე შესწავლით გამოირკვა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ლაფაური ბოროტად იყენებდა თავის უფლებებს, თვითნებურად და არასწორად წყვეტდა მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, ანგარიშს არ უწევდა კოლმეურნეობის მართვის დემოკრატიულ პრინციპს. ნაცვლად იმისა, რომ გამოესწორებინა მუშაობაში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, ვ. ლაფაური ახშობდა ჯანსაღ კრიტიკას, კოლმეურნეებს, რომლებიც ნაკლოვანებებზე მიუთითებდნენ, სოფლიდან გასახლებით ემუქრებოდა, ხოლო ზოგიერთ მათგანს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.

ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად კოლმეურნეობაში დაეცა შრომის დისციპლინა და შეუსრულებელი დარჩა მთელი რიგი სამუშაოები. 1948 წელს 76 კაცს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, 1949 წელს კი — 123 კაცს. კოლმეურნეობაში საშემოდგომო ხორბალი, ნაცვლად 10 ცენტნერისა, თვითეულ ჰექტარზე მიღებულია მხოლოდ 4,6 ცენტნერი, ქერი — 11 ცენტნერის ნაცვლად 3,2 ცენტნერი. აქ არ შეუსრულებიათ აგრეთვე ვენახის გაშენების, მატყლის და კვერცხის მიღების, წველადობის გეგმები, დიდია საზოგადოებრივი პირუტყვისა და ფრინველის სიკვდილიანობა. არის ყველის, ღვინის და სხვა საკოლმეურნეო დოვლათის მითვისების ფაქტები. კოლმეურნეობის თავმჯდომარის უბრალო ბარათებით და ზეპირი განკარგულებითაც შემოსავალში გაუტარებლად და უფასოდ, უშუალოდ ვენახებიდან გაცემულ იქნა ასეულ კილოგრამობით ყურძენი.

სერიოზული დამახინჯებებია დაშვებული საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგშიც. ვ. ლაფაურმა 1949 წლის გაზაფხულზე მოფერ მეგრელიშვილს თვითნებურად თესლბრუნვის ფართობიდან მისცა 0,4 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა, მაშინ რაც მეგრელიშვილს თელავში საკმაო რაოდენობით აქვს მიწა. აღნიშნული საკოლმეურნეო ნაკვეთი მოხნული და დათესილი იყო კოლმეურნეობის ბრიგადის მიერ. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება მეგრელიშვილისათვის არ გადაუხდევინებიათ. თავმჯდომარემ ასევე უკანონოდ 0,33 ჰექტარი მიწა მისცა კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ევსტაფიევს. ამასთან მან სამამულო ომში დაღუპული ნიკო აკოფაშვილის ოჯახს (ცოლს და 4 მცირეწლოვან შვილს) ჩამოართვა 500 კვადრატული მეტრი ვენახი და გადასცა ექიმის თანაშემწე კერესელიძეს.

ვ. ლაფაური, დაადგა რა თვითნებობისა და უკანონობის გზას, ანიავებდა საკოლმეურნეო ქონებას. მან უფასოდ გასცა 32 კილოგრამი ხახვი პირადი ავტომანქანის შეკეთების ქირად, ასევე უკანონოდ მისცა სხვადასხვა პირებს მნიშვნელოვანი რაოდენობით ყველი, პამიდორი, ფული. ვ. ლაფაურმა თავის მამას აჩუქა კოლმეურნეობის კუთვნილი ურმის თვლები, მანვე 1949 წლის 23 ნოემბერს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას გამოატანია უკანონო დადგენილება, თითქოს 12 კოლმეურნეს ერგებოდა ვითომდა ნასესხები ღვინის ღირებულება 5.877 მანეთი, რაც კიდევაც გასცა. ვ. ლაფაურმა საერთო კრების დაუკითხავად გაყიდა კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოსაგან სესხად მიღებული 5 ტონა სიმინდი.

ყოველივე ეს კოლმეურნეებმა უამბეს რედაქციისა და პარტიის რაიონული კომიტეტის წარმომადგენლებს. ისინი ერთსულოვნად მოითხოვდნენ დახმარებას, დამნაშავეთა დასჯას და კოლმეურნეობაში არანორმალური მდგომარეობის გამოსწორებას.

კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. გ. სეხნიაშვილი და სხვა პასუხისმგებელი ამხანაგები, კოლმეურნეებმა მკაცრად გააკრიტიკეს როგორც გამგეობისა და მისი თავმჯდომარის ვ. ლაფაურის, ისე სარევიზიო კომისიის მუშაობა, კერძოდ, მისი თავმჯდომარე ევსტაფიევი, რომელსაც კოლმეურნეობის 10.345 მანეთი მართებს. აღინიშნა, რომ ევსტაფიევის უმოქმედობის გამო კოლმეურნეობაში ანგარიშწარმოება არეულია, ანაღდებდნენ საეჭვო ხასიათის ანგარიშებსა და აქტებს, არ ხდებოდა რევიზიები, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და გარეშე პირებზე ირიცხება 19.164 მანეთი დებიტორული დავალიანება, კოლმეურნეებზე კი — 87.812 მანეთი.

აღნიშნული მდგომარეობის გამო კოლმეურნეთა საერთო კრებამ მოხსნა თანამდებობიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ლაფაური და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ევსტაფიევი. ამასთან კრებამ დაადგინა ჩატარდეს კოლმეურნეობაში დოკუმენტალური რევიზია, აირჩია ახალი გამგეობა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სარევიზიო კომისია, დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად

# როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი"*

ილაპარაკებს რა ათი სტალინური დარტყმის სამხედრო-პოლიტიკურ შედეგებზე, პროპაგანდისტმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ მხოლოდ საბჭოთა ჯარების წარმატებებმა აიძულეს ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი გაეხსნათ მეორე ფრონტი ევროპაში. როცა ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირს უნარი შესწევდა მარტო თავისი ძალებით გაენადგურებინა საბოლოოდ ფაშისტური გერმანია, მოეხდინა მისი ოკუპაცია და გაეთავისუფლებინა მთელი ევროპა ჰიტლერული მონობისაგან, ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები 1944 წლის ზაფხულში (ორი წლის დაგვიანებით) იძულებული გახდნენ თავიანთი შეიარაღებული ძალები გადაესხათ საფრანგეთის სანაპიროზე. მაგრამ დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნამ ვერ შეცვალა ძალთა თანაფარდობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ჰიტლერულ სარდლობას აქ კვლავ ჰყავდა მთელი თავისი შეიარაღებული ძალების ორი მესამედი და თავისი მოკავშირეების მთელი ძალები.

უჩვენებს რა რუკაზე საბჭოთა არმიის ძლევამოსილ წინსვლას მთელ ფრონტზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, თავისი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით და გეგმებით, შეასრულეს თავიანთი ისტორიული ამოცანა: გაათავისუფლეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ჩვენი სამშობლოს მთელი ტერიტორია.

შემდეგ პროპაგანდისტი ლაპარაკობს, რომ, ასრულებდა რა თავის კეთილშობილურ განმათავისუფლებელ მისიას, საბჭოთა არმია არც ძალებსა და არც საკუთარ სისხლს არ იშურებდა იმისათვის, რომ დახმარებოდა ევროპის ხალხებს ჩამოეგდოთ ფაშისტური უღელი, აღედგინათ თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მოეწყოთ ცხოვრება თავიანთი შეხედულებით, დემოკრატიულ საფუძველზე.

გადავა რა საუბარზე იმის შესახებ, თუ როგორ იქნა განადგურებული ფაშისტური გერმანია, პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ჯარებმა მძლავრი შეტევა გააჩაღეს გერმანიის შიგნით. ჰიტლერელებმა ვერ შეძლეს საბჭოთა ჯარების ამ შეტევის შეჩერება. განავითარა რა შეტევის წარმატება, ჩვენი არმია ბერლინს მიუახლოვდა. 1945 წლის იანვარ-თებერვალში ძლევამოსილი საბჭოთა არმიის მძლავრი დარტყმებით აქ განადგურებულ იქნა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მრავალმილიონიანი, კაპიტალისტურ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ფაშისტური არმიის უკანასკნელი ნაშთები. 1945 წლის 8 მაისს ჰიტლერულმა გერმანიამ თავი დამარცხებულად ცნო და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

მსმენელებს უნდა ვურჩიოთ ნახონ შესანიშნავი კინოფილმი „ბერლინის დაცემა", რომელიც დაეხმარება მათ უკეთ გაიგონ ბერლინის ბრძოლის მნიშვნელობა.

დასასრულ პროპაგანდისტი ლაპარაკობს იმპერიალისტური იაპონიის საბოლოო განადგურებაზე. იგი აღნიშნავს, რომ ამერიკის, ინგლისისა და გომინდანური ჩინეთის უდიდესი არმიები, საზღვაო და საჰაერო ფლოტები რამდენიმე წლის განმავლობაში ეომებოდნენ იაპონიას და მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩაბმამ ომში უზრუნველყო იაპონიის არმიის სწრაფი განადგურება და იმპერიალისტური იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია, რასაც მოჰყვა მეორე მსოფლიო ომის დამთავრება.

იაპონიის კვანტუნის არმიას თავის შემადგენლობაში ჰყავდა ერთ მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 5.000 ქვემეხი, 1.000-მდე ტანკი. მანჯურიის ტერიტორიაზე, კორეასა და სამხრეთ სახალინში იაპონიას ჰქონდა 900-მდე საბრძოლო თვითმფრინავი და დამხმარე ავიაციის 500 თვითმფრინავი. გარდა ამისა, იაპონელებს თავიანთ განკარგულებაში ჰყავდათ დამხმარე ძალის სახით ეგრეთწოდებული მანჯოუ-გოს სახელმწიფოს არმია 170.000 კაცის შემადგენლობით, აგრეთვე 200 ათასამდე შეიარაღებული პოლიციელი.

1945 წლის 9 აგვისტოს იმიერბაიკალის ფრონტის ჯარებმა, მარშალ ჩოიბალსანის მონღოლეთის არმიასთან, შორეული აღმოსავლეთის 1 და 2 ფრონტების ჯარებთან, აგრეთვე წყნარი ოკეანის ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებთან ერთად საომარი მოქმედება გააჩაღეს შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ჯარების წინააღმდეგ.

საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს იაპონელთა ხანგრძლივი ღრმად ეშელონირებული თავდაცვა მანჯურიის საზღვრებზე, გადალახეს დიდი ხინგანის მთაგრეხილი, მდინარეები ამური და უსური, განავითარეს შეტევა და მოკლე დროში წინ წაიწიეს 500-დან 950 კილომეტრამდე. საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა იაპონელებისაგან მანჯურია, სამხრეთ სახალინი, ჩრდილოეთი კორეა და კურილის კუნძულები.

იაპონელთა კვანტუნის არმია თავგანწირული, მაგრამ უშედეგო კონტრშეტევების შემდეგ იძულებული გახდა შეეწყვიტა წინააღმდეგობა და დაეყარა იარაღი.

1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

„ჩვენი საბჭოთა ხალხი,—ამბობდა ამხანაგი სტალინი თავის მიმართვაში ხალხისადმი 1945 წლის 2 სექტემბერს, — ძალებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. მაგრამ ახლა თვითეულ ჩვენგანს შეუძლია თქვას: ჩვენ გავიმარჯვეთ. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის".

ამ თავზე საუბარში შეიძლება დავაყენოთ შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. რაში მდგომარეობს ისტორიული მნიშვნელობა ათი სტალინური დარტყმისა, რომლებიც საბჭოთა არმიამ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს მიაყენა?

2. როგორ გაანადგურა საბჭოთა არმიამ იაპონელი იმპერიალისტები? რაში მდგომარეობს ამ გამარჯვების მნიშვნელობა?

3. რა იყო და როგორ განხორციელდა საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელი მისია?

* * *

საუბარი უკანასკნელი თავის გარშემო დაიწყება ჩვენი გამარჯვების მნიშვნელობისა და წყაროების საკითხის გამორკვევით. პროპაგანდისტი ლაპარაკობს, რომ ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაში მთავარი და გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საბჭოთა კავშირსა და მის შეიარაღებულ ძალებს. მიიღო რა თავის თავზე ჰიტლერული ურდოების მთავარი დარტყმა, საბჭოთა კავშირი და მისი შეიარაღებული ძალები ომის ბოლომდე საკუთარი მხრებით ეზიდებოდნენ ომის ძირითად სიმძიმეს.

შემდეგ პროპაგანდისტი ამბობს, რომ მოპოვებული გამარჯვების შედეგად საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიცვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნეს სოციალისტური წყობილება, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე წყობილება, განამტკიცეს საბჭოთა კავშირის უშიშროება დასავლეთით და აღმოსავლეთით, უზრუნველყვეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა იხსნეს ფაშისტური დამონებისაგან ხალხები, დაღუპვას გადაარჩინეს ევროპის ცივილიზაცია.

პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის გამარჯვების მეოხებით, მოუხედავად საერთაშორისო რეაქციის ვარაუდისა, სოციალიზმის საქმე განუზომლად განმტკიცდა. იგი ლაპარაკობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმოშობასა და ზრდაზე, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნაზე, მშვიდობისმოყვარე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ზრდასა და განმტკიცებაზე, კაპიტალიზმისა და რეაქციის ბანაკში ყველა წინააღმდეგობის გამწვავებაზე.

ყველა ამ ფაქტით მას მსმენელები მიჰყავს კაცობრიობის წინაშე საბჭოთა ხალხის დიდი მსოფლიო-ისტორიული დამსახურების გაგებამდე. აქ საჭიროა მოვიყვანოთ ამხანაგ სტალინის სიტყვები: „ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე" („საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", გვ. 171).

საუბრის საილუსტრაციოდ საჭიროა მოვაგონოთ მსმენელებს და ვურჩიოთ მათ ხელახლა ნახონ ისეთი დოკუმენტალური ფილმები, როგორიცაა განთავისუფლებული „ჩეხოსლოვაკია", „რუმინეთი", „ბულგარეთი", „ხალხთა სამსჯავრო".

ამის შემდეგ პროპაგანდისტი გადადის მეორე, ძირითად საკითხზე: რატომ შეძლეს საბჭოთა კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაემარცხებინათ ისეთი ძლიერი და ვერაგი მტერი, როგორიც იყვნენ ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია? ამხანაგმა სტალინმა ომის წლების თავის გამოსვლებში ცხადყო, რომ ჩვენი გამარჯვების წყაროებია საბჭოთა, სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე. „ოქტომბრის რევოლუციის მიერ შობილმა სოციალისტურმა წყობილებამ დიადი და უძლეველი ძალა მისცა ჩვენს ხალხსა და ჩვენს არმიას" („საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", გვ. 167).

პროპაგანდისტი დაწვრილებით არჩევს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობას, ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძალის ისეთ წყაროებს, როგორიცაა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა სტალინური მეგობრობა, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.

ამის შემდეგ პროპაგანდისტი ამბობს, რომ ომში გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა არმიამ. მას მოჰყავს ამხანაგ სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა არმია „პირველხარისხოვანი არმიაა, რომელსაც სავსებით თანამედროვე შეიარაღება აქვს, უაღრესად გამოცდილი მეთაურთა შემადგენლობა ჰყავს და მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებანი ახასიათებს". (სიტყვა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. გამომცემლობა „კომუნისტი", 1950 წ. გვ. 21).

შემდეგ პროპაგანდისტი გადადის საუბარზე ჩვენი გამარჯვების ორგანიზაციასა და მიღწევაში ბოლშევიკური პარტიის როლის შესახებ. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლენინ-სტალინის პარტიის აღმაფრთოვანებელი და მაორგანიზებელი როლი საბჭოთა ხალხის დაუშრეტელი ძალის გადამწყვეტი წყაროა.

ბოლშევიკურმა პარტიამ ხალხი დარაზმა დიდი სამამულო ომისათვის, წარმოსდგა როგორც „ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი". („საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", გვ 126).

ჩვენი გამარჯვებების წყაროებზე საუბრისას პროპაგანდისტი ლაპარაკობს ამხანაგ სტალინის დიდ როლზე მტრის განადგურებაში, ჩვენი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვებაში.

პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის გამარჯვება დიდ სამამულო ომში შედეგია გენიალური სტალინური ხელმძღვანელობისა, სტალინური მხედართმთავრული გენიის ზეიმისა.

ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე ამხანაგი სტალინი ითვალისწინებდა იმპერიალისტთა თავდასხმის საფრთხეს და რაზმავდა ბოლშევიკურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისა და აქტიური თავდაცვისათვის მისი მომზადების ამოცანათა გადასაწყვეტად. როცა ჰიტლერულმა გერმანიამ თავს მოახვია ომი საბჭოთა კავშირს და ჩვენს სამშობლოს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა, ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას კაცობრიობის უბოროტესი მტრის—ფაშიზმის წინააღმდეგ, აღაფრთოვანა საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ლეგენდარული საქმეებისა და გმირობისათვის. ამხანაგ სტალინის სამხედრო და ორგანიზატორულმა გენიამ გამარჯვება მოგვიტანა ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

ამხანაგი სტალინი საბჭოთა არმიის ყველა სტრატეგიული გეგმის შემოქმედი იყო. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, მისი ჩანაფიქრით შემუშავებულ, მომზადებულ და განხორციელებულ იქნა საბჭოთა არმიის ყველა გადამწყვეტი ოპერაცია.

დიდმა მხედართმთავარმა და გამარჯვების ორგანიზატორმა ამხანაგმა სტალინმა შექმნა მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. საბჭოთა არმიის ბრძოლებში, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, განსახიერებულია სამხედრო ოპერატიული და სტრატეგიული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. ამხანაგ სტალინის მიერ გამოზრდილი და გამოწრთობილი პირველხარისხოვანი სამხედრო კადრები ღირსეულად ახორციელებდნენ მტრის განადგურების სტალინურ გეგმებს. დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი, ყველა მომავალი თაობა, დიდებით მოიხსენიებს საბჭოთა კავშირს, ამხანაგ სტალინს, როგორც ფაშისტ დამრბევთაგან მსოფლიო ცივილიზაციის მხსნელს.

ხელმძღვანელობდა რა საბჭოთა შეიარაღებული ძალების საომარ მოქმედებას და სამეურნეო ორგანიზატორულ მუშაობას ზურგში, ამხანაგი სტალინი ომის პერიოდში განავრძობდა უდიდეს თეორიულ მოღვაწეობას, ამუშავებდა და წინ სწევდა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ამხანაგ სტალინის გამოსვლებმა და ბრძანებებმა, რომლებმაც შეადგინეს წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" ახალ სიმაღლეზე აიყვანეს საბჭოთა სამხედრო მეცნიერება, წინ წასწიეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარება. ამ შესანიშნავ წიგნში ამხანაგმა სტალინმა განაზოგადა საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობა ომის დროს, დასახა მისი შემდგომი განმტკიცების გზები.

პროპაგანდისტს მსმენელები მიჰყავს ძირითად დასკვნამდე იმის შესახებ, რომ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობა ის მთავარი რამ არის, რამაც უზრუნველყო ჩვენი გამარჯვება ამ ომში. დარაზმა რა საბჭოთა ხალხი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლისათვის, ამხანაგმა სტალინმა დაიცვა საბჭოთა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მიიყვანა ჩვენი ქვეყანა უდიდეს გამარჯვებამდე და იხსნა მსოფლიოს ხალხები ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. ეს არის ამხანაგ სტალინის მსოფლიო-ისტორიული დამსახურება საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე.

საუბარი ამ თავზე—და მთელ თემაზე—უნდა დამთავრდეს ჩვენი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების განსამტკიცებლად საბჭოთა ხალხის ამოცანების აღნიშვნით. პროპაგანდისტი აღნიშნავს ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ჩვენი სამშობლოს და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ახალი ომის გაფთრებულ მზადებას და მოუწოდებს მსმენელებს მეტი ენერგიით იბრძოლონ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო ძლიერების შემდგომი აღმავლობისათვის, სანუკვარო მიზნის — კომუნიზმის აშენებისაკენ მისი წარმატებით წინსვლისათვის.

ამ თავზე საუბარი შეიძლება მოეწყოს შემდეგი გეგმით:

1. რაში მდგომარეობს ჩვენი სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მნიშვნელობა დიდ სამამულო ომში?

2. როგორია ჩვენი დიადი გამარჯვების წყაროები?

3. როგორია მიღწეული გამარჯვების განმტკიცებასთან დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ამოცანები?

ამ საუბრის მსვლელობაში პროპაგანდისტი აჯამებს თემის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი" შესწავლის შედეგებს. გაჩაღებული ამხანაგური საუბრის დროს, რომელშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა მსმენელმა, პროპაგანდისტი ამოწმებს, რამდენად მტკიცედ შეითვისეს მათ ომის წარმოშობის მიზეზები, მისი ხასიათი, რამდენად ნათლად აქვთ მათ წარმოდგენილი ჰიტლერელთა და მათ თანამონაწილეთა წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ძირითადი ეტაპები, ჩვენი გამარჯვების წყაროები. პროპაგანდისტი ხელმძღვანელობს საუბარს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით თავისი ბრძენი ბელადის, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობითა საბჭოთა ხალხმა გამოიჩინა დიდი ისტორიული გმირობა, დაიცვა სოციალისტური სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნა კაცობრიობა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. ამჟამად საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოში მშვიდობის სადარაჯოზე დგას.

პ. ორლოვი

*) დასასრული. იხ. გაზეთ „კომუნისტი" № 62.

## ლიტერატურა

**პოლიტსკოლების პროპაგანდისტებისათვის თემაზე „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი" მეცადინეობის მოსამზადებლად.**

**ი. სტალინი**—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", მე-6 გამოცემა.

**ი. სტალინი**—„სიტყვა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს".

„ამხანაგ სტალინს—დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ლენინის უკვდავი საქმის გამგრძელებელს" (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი მისი დაბადების 70 წლისთავის დღეს).

„კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი" (ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის). გამომცემლობა „კომუნისტი", 1949 წელი.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია.

„ისტორიის ფალსიფიკატორები" (ისტორიული ცნობა). გამომცემლობა „კომუნისტი", 1948 წ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# მონოგრაფია დიდ ქართველ მეცნიერზე

**(დავით გვრიტიშვილი. „ივანე ჯავახიშვილი“. საბლიტგამი 1949 წ.).**

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოს რჩეულ შვილთა რიცხვს ეკუთვნის. 40 წლის მანძილზე დაუშრეტელი ენერგიით ემსახურებოდა იგი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლის საქმეს. ი. ჯავახიშვილმა ფასდაუდებელი მნიშვნელობის გამოკვლევები შესძინა ქართულ არქეოლოგიას, ენათმეცნიერებას, ხელოვნებათმცოდნეობას, ეკონომიურ და სამართლის მეცნიერებას, ბუნებისმეტყველებას.

ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი ქართულ უნივერსიტეტს, მისი თაოსნობითა და უშუალო დახმარებით გამოიზარდა ეროვნული მეცნიერების მაღალკვალიფიციური კადრები. გულწრფელ სიხარულსა და აღფრთოვანებას განიცდიდა დიდი მკვლევარი, როცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხედავდა საქართველოს სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას. და იგი პალიმფსესტების გაშიფრვასთან, სამარხების საიდუმლოებათა ამოცნობასთან და მემატიანეთა ძუნწი ცნობების მეცნიერულ ანალიზთან შესანიშნავად ათავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას.

სამშობლოს გულწრფელი სიყვარული, მიზნის სიცხადე და შეუპოვრობა მის მიღწევაში, მოვალეობის ღრმა შეგნება და ხალხისათვის უანგარო სამსახური, უბრალოება და თავმდაბლობა—აი ის კეთილშობილური თვისებები, რომლებითაც ეს დიდი ადამიანი ხასიათდებოდა. ბუნებრივია, მისი შინაარსიანი ცხოვრება და მრავალფეროვანი მეცნიერული მოღვაწეობა ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომელიც მეცნიერების მწვერვალებს ეუფლება, მისაბაძ ნიმუშს წარმოადგენს.

მაგრამ დღემდე ჩვენი ახალგაზრდობა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებას უფროსი თაობის გადმოცემით თუ იცნობდა. ახლა კი მან ძვირფასი საჩუქარი მიიღო: საბლიტგამმა გამოსცა დავით გვრიტიშვილის მონოგრაფია „ივანე ჯავახიშვილი“, სადაც აღწერილია არა მარტო ცხოვრება დიდი მკვლევარისა, არამედ გაშუქებულია მისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა.

მონოგრაფია ხუთი თავისაგან შედგება. პირველ თავში ავტორი გვაცნობს ი. ჯავახიშვილის მშობლებს, ბავშვობასა და ყრმობას, გიმნაზიის წლებს.

ალექსანდრე III-ის მკაცრი პოლიციური რეჟიმის პირობებში უხდებოდა გიმნაზიაში სწავლა ივანე ჯავახიშვილს. ყოველივე პროგრესული ამ დროს იდევნებოდა. სკოლაში ქართულ ენაზე ლაპარაკიც კი აკრძალული იყო. ივანეს არ აკმაყოფილებდა გიმნაზია. იგი მის გარეთ გულმოდგინედ სწავლობდა ქართულ კულტურასა და ისტორიას. გიმნაზიის წლებშივე ჩაენერგა მას ქართული კულტურისადმი უანგარო სამსახურის იდეა.

მეორე თავი შეეხება ივანე ჯავახიშვილის რუსეთში ყოფნის პერიოდს (1895-1917 წ. წ.). პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილების სტუდენტი ი. ჯავახიშვილი უკვე იქცევს იქ მყოფი ქართველი მკვლევარების ნ. მარისა და ა. ცაგარლის ყურადღებას. აქვე დატოვებულ იქნა იგი საპროფესოროდ მოსამზადებლად. ამ პერიოდიდან იწყება მისი ინტენსიური მეცნიერული მუშაობა.

დიდ პრაქტიკულ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ახალგაზრდა მეცნიერი ჩინებულად უხამებს კვლევით მუშაობას, წერს მთელ რიგ გამოკვლევებს, სადაც ახლებურად აყენებს საქართველოს ისტორიის საკითხებს.

წიგნის მესამე თავი მიძღვნილია საბჭოთა საქართველოში ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის დახასიათებისადმი.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დახმარებითა და მზრუნველობით აღტაცებული ივანე ჯავახიშვილი გაათკეცებული ენერგიით აკეთებს დიდ ეროვნულ საქმეს: ხელმძღვანელობს მის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, დაუღალავად იბრძვის უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი მუშაობის გასაფართოებლად, ამზადებს კადრებს მომავალი სამეცნიერო მუშაობის ინტენსიური გაჩაღებისათვის.

გულწრფელი მწუხარებით დაიტირეს საქართველოს მშრომელებმა ივანე ჯავახიშვილი. ავტორს მგრძნობიარედ აქვს აღწერილი საყვარელ მეცნიერთან ქართველი ხალხის გამოთხოვება.

შრომის მეოთხე თავი ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის მიმოხილვას ეხება. ავტორის წინაშე იდგა მეტად რთული ამოცანა. შეუძლებელია მოკლე ნარკვევში სრულყოფილად იქნას გადმოცემული და შეფასებული ყველაფერი ის, რაც განსვენებული მეცნიერის კალამს ეკუთვნის. 8.300 გვერდი გამოქვეყნებული და თითქმის ამდენივე გამოუქვეყნებელი შრომა—აი რა დატოვა ივ. ჯავახიშვილმა. ამ შრომის თვითეული გვერდი ხანგრძლივი დაკვირვების ნაყოფია და ღრმა აზრებს შეიცავს. არა ერთი, არამედ რამდენიმე მონოგრაფიაა საჭირო, რომ ჯავახიშვილის მოღვაწეობა სრულყოფილად გაშუქდეს.

ივანე ჯავახიშვილმა პირველმა მოჰკიდა ხელი ისტორიული წყაროების კრიტიკულ შესწავლას. მანვე აღმოაჩინა მრავალი, მანამდის უცნობი წყარო და სათანადოდ შეაფასა ისინი.

დიდი მეცნიერი როდი შემოფარგლულა მარტოოდენ საქართველოს ისტორიის წყაროების კვლევით. იგი ამავე დროს სწავლობდა მეზობელი ხალხების ისტორიულ წყაროებსაც.

ივანე ჯავახიშვილმა მის განკარგულებაში არსებული ზღვა ფაქტიური მასალის გამოყენებით, ამ მასალის ღრმა მეცნიერული დამუშავების შედეგად, დაწერა 4 ტომი ქართველი ერის ისტორიისა. ამ კაპიტალურ შრომაში ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია ქართველი ხალხის ისტორიული ეთნოლოგიის ძირითადი პრობლემები, პირველმა გაბედულად უარყო ლეონტი მროველის შეხედულება მეფობის თავიდანვე არსებობის შესახებ და მიუთითა, რომ ქართველ ხალხში საზოგადოებრივი წყობილების პირველი ფორმა გვაროვნული წყობილება იყო; საფუძვლიანად გამოარკვია ქართველთა პიროვნული რელიგია და ნათელყო, რომ ეს იყო მნათობთა თაყვანისცემა; შეისწავლა რა ქართველი ხალხის საგარეო ურთიერთობის ისტორია, გამოავლინა ქართველთა შეუპოვრობა ბიზანტიელი და სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ი. ჯავახიშვილმა ქართველი ერის წარსულის სოციალური ურთიერთობის ღრმად შესწავლის შედეგად ყურადღება მიაქცია კლასობრივი ბრძოლის არსებობას და ამით დაამსხვრია ქართველ „მამულიშვილთა“ შეხედულება წოდებათა შორის „მამაშვილური“ განწყობილების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილმა შეძლო „ქართველი ერის ისტორია“ მე-16 საუკუნემდე მოეყვანა. ეს ხანგრძლივი პერიოდი ჩვენი წარსულისა პირუთვნელი შემოქმედის ხელში მძლავრად ამეტყველდა.

დ. გვრიტიშვილი მოკლე მიმოხილვას უძღვნის ი. ჯავახიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობას ქართული ისტორიოგრაფიის, ქართული არქეოლოგიის, საქართველოს ეკონომიური ისტორიის, ქართული სამართლის ისტორიის დარგებში. დიდმა მეცნიერმა თვითეულ ამ დარგს მტკიცე მეცნიერული საძირკველი ჩაუყარა. გაუმართლებლად მიგვაჩნია, რომ ავტორმა ცალკე არ გამოჰყო საკითხი — ივანე ჯავახიშვილი და ქართული ენათმეცნიერება. ავტორს კარგად მოეხსენება, რომ ივანე ჯავახიშვილი დიდი ერუდიციით მუშაობდა ქართული და კავკასიური ენების პრობლემებზე. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომა „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ — უდიდესი განძია ქართულ ენათმეცნიერებაში. მართალია, დ. გვრიტიშვილი მიუთითებს ი. ჯავახიშვილის—მეცნიერის ღვაწლზე ენათმეცნიერებაში, მაგრამ მეტად მოკლედ, და არ განიხილავს, ზოგადად მაინც, მის მიერ წამოჭრილ პრობლემებს. ასევე უნდა ვუსაყვედუროთ ავტორს ის, რომ მან ძალზე მცირე ადგილი დაუთმო ქართული ხელოვნების ისტორიის, ქართული მუსიკის ისტორიის, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიის დარგებში ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული ფასდაუდებელი მნიშვნელობის მქონე პრობლემების განხილვას.

მეხუთე თავში ზოგადად განხილულია ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. აქ ჩვენს წინაშე დიდი მეცნიერი წარმოსდგება როგორც დიდი მოქალაქე, ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელ შინაარსს მშობელი ერისადმი გულწრფელ სამსახურში ხედავს.

დ. გვრიტიშვილის წიგნს სიყვარულით წაიკითხავს არა მარტო ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, არამედ უფროსი თაობაც. ეს გულწრფელი მონათხრობი იმათ, ვისაც ივ. ჯავახიშვილის დიდი აზრებით აღსავსე ლექცია მოუსმენია, კვლავ მოაგონებს მის ნათელ სახეს, ხოლო იმათ, ვისაც იგი პირადად არ უნახავს, კიდევ უფრო შეაყვარებს მას, როგორც ქართველი ერის დიდ მომამაგეს.

**აკ. სურგულაძე**

# საერთაშორისო მიმოხილვა

### იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ფრონტი

მშვიდობას როდი ელოდებიან, მას მოიპოვებენ! საკმარისი როდია გსურდეს საერთაშორისო მშვიდობა, მისთვის აქტიურად უნდა იბრძოლო! — ასეთი ლოზუნგებით ჩატარდა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესია. სესიამ დაადასტურა, რომ საერთაშორისო მოძრაობა მშვიდობისათვის განუწყვეტლივ იზრდება და ახალ, უფრო ეფექტიან ფორმებს იღებს.

ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა იმ ქვეყნებში, რომლებიც ამერიკის მონოპოლიების მონობაში ჩავარდნენ. საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში მშვიდობის მომხრენი მეზღვაურთა, რკინიგზელთა და დოკერთა ინიციატივით აქტიურად გამოდიან ახალი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად განკუთვნილი იარაღის წარმოების, შეზიდვისა და გადმოტვირთვის წინააღმდეგ.

ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი ფორმების მკაფიო მაგალითი გახდა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიმართვა ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი წინადადებით — განიხილონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიის მმართველი წრეების აშკარად მტრულმა მოპყრობამ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის დელეგაციებისადმი ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ იმპერიალისტებს არა სურთ საერთაშორისო მშვიდობა და ეშინიათ მისი. ამასვე მოწმობს იმპერიალისტთა ბანაკში გამალებული შეიარაღება და სამხედრო ხარჯების განუწყვეტელი ზრდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიაზე აღინიშნა, სამხედრო ხარჯები „გამოიხატება საზღაპრო ციფრით, რომელიც საერთოდ მთელი ბიუჯეტის 69 პროცენტს შეადგენს“. ინგლისში სამხედრო ხარჯებს ხმარდება ბიუჯეტის 30 პროცენტი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ასიგნობანი ისე მცირეა, რომ სრულიად მინიმალურ საჭიროებასაც ვერ აკმაყოფილებს. საფრანგეთის მთავრობის სამხედრო ბიუჯეტი საერთო ბიუჯეტის 26 პროცენტს აღემატება. იტალიაში ყველა საბიუჯეტო ასიგნობის დაახლოებით მესამედი სამხედრო მზადებას ხმარდება.

მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიამ გადაჭრით დაგმო იმპერიალისტთა სამხედრო მზადება და მოუწოდა ხალხებს იბრძოლონ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ატომური იარაღის უეჭველად აკრძალვისათვის. „ჩვენ, — განაცხადეს სესიის მონაწილეებმა სპეციალურ მოწოდებაში, — სამხედრო დამნაშავედ ჩავთვლით იმ მთავრობას, რომელიც პირველი იხმარს ატომურ იარაღს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ“. ამასთან ერთად სესიამ მიმართა კეთილი ნების ყველა ადამიანს წინადადებით — ხელი მოაწერონ ამ მოწოდებას. მეორე მოწოდებაში სესია წინადადებას აძლევს კეთილი ნების ყველა ადამიანს — დანიშნონ წარმომადგენლები მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს იტალიაში შედგება.

ეჭვი არ არის, რომ სესიის ეს მოწოდებანი გამოხატავენ მშვიდობის ყველა ჭეშმარიტი მეგობრის მისწრაფებებს. მრავალმა ფაქტმა, რომლებიც მოყვანილი იყო ჟან ლაფიტის საანგარიშო მოხსენებაში და სტოკჰოლმის სესიის მონაწილეთა სიტყვებში, ცხადყო, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა მოიცავს ხალხის სულ უფრო ფართო მასებს, ხოლო მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის გავლენა და ავტორიტეტი განუწყვეტლივ იზრდება. ამ კომიტეტის შემადგენლობაში შედიან 52 ქვეყნის წარმომადგენლები, ხოლო 29 სხვა ქვეყნის დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მუდმივ კომიტეტს მტკიცე კავშირი აქვს. ბევრ ქვეყანაში, მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტების გარდა, იქმნება მშვიდობის დაცვის კომიტეტები ქალაქად და სოფლად, საწარმოებსა და სასწავლებლებში. მაგალითად, იტალიაში უკვე შექმნილია 30 ათასამდე ასეთი კომიტეტი.

იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა მძლავრი ფრონტი. ჩინეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი 800 მილიონ კაცს შეადგენს და მოიცავს გიგანტურ ტერიტორიას წყნარი ოკეანის ნაპირებიდან ელბამდე. განუწყვეტლივ მატულობს მშვიდობისათვის მებრძოლთა რიცხვი კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში.

ზრდა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობისა, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი, ყველა ქვეყნის მშრომელებს აღაფრთოვანებს ახალ-ახალი საქმეებისათვის, რომლებიც მიმართულია მშვიდობის დაცვისაკენ, აგრესორთა ალაგმვისა და ახალი ომის მომზადების გეგმების ჩაშლისაკენ.

### რეაქციის აქტივიზაცია საფრანგეთსა და იტალიაში

მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლა ერთვის მასების მოძრაობას დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, გაღატაკებისა და შიმშილის წინააღმდეგ. მაგრამ რაც უფრო ფართოდ ჩაღდება ეს მოძრაობა, მით უფრო გააფთრებით ესხმის მას თავს კაპიტალისტური რეაქცია. უკანასკნელ კვირეებში რეაქციული ძალების შეტევამ დემოკრატიული უფლებებისა და მშრომელთა საარსებო დონის წინააღმდეგ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი საფრანგეთსა და იტალიაში.

მარშალიზებული საფრანგეთის მშრომელთა საარსებო დონე მეტად დაბალია. თუ 1938 წლის მათ მყიდველობით უნარს 100 პროცენტად მივიღებთ, 1947 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 67 პროცენტს, ხოლო 1950 წლის დამდეგს 51 პროცენტამდე დაეცა. საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობა ღატაკურად ცხოვრობს.

საფრანგეთის მშრომელებმა პროტესტი განაცხადეს თავიანთი მდგომარეობის კატასტროფული გაუარესების წინააღმდეგ და შრომის საყოველთაო კონფედერაციის მეშვეობით ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს წამოაყენეს მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ. თებერვალში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიასთან დაკავშირებით მშრომელთა მოძრაობა ამ მოთხოვნის განხორციელებისათვის განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა და გამოიხატა, კერძოდ, მასობრივი გაფიცვებით.

მაგრამ საფრანგეთის მმართველმა წრეებმა, რომლებიც თავიანთი ამერიკელი ბატონების ნებას ასრულებენ, გადაწყვიტეს არ დააკმაყოფილონ მშრომელთა მოთხოვნები. 8 მარტს ეროვნულმა კრებამ მთავრობის პარტიებისა და მემარჯვენე სოციალისტების წარმომადგენელთა ხმის უმრავლესობით მიიღო რეაქციული კანონი, რომელიც ხელისუფალთ ანიჭებს შესაძლებლობას, ასე ვთქვათ, „კანონიერ საფუძველზე“ საპყრობილეში ჩასვან ყოველი ფრანგი, რომელიც შეეცდება თავის საარსებო უფლებათა დაცვას. საფრანგეთის რეაქციამ ისარგებლა ამით, სასტიკად უსწორდება გაფიცულ მუშებს და ცდილობს ძალით ათქმევინოს უარი თავის მოთხოვნებზე.

მიუხედავად ამისა, საგაფიცვო ბრძოლა საფრანგეთში გრძელდება. როგორც გაზეთ „ლუმანიტეში“ შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ბენუა ფრაშონი წერს, უკანასკნელი 5 კვირის მანძილზე გაფიცვებში მონაწილეობას იღებდა და იღებს ერთი მილიონი მშრომელი, რომლებიც რამდენიმე ათას საწარმოში მუშაობენ. თითქმის 500 საწარმოს ადმინისტრაციამ უკვე დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნა 3 ათასი ფრანკი დახმარების მიცემის შესახებ.

საგაფიცვო მოძრაობის წარმატება აცოფებს ფრანგ რეაქციონერებს. მშრომელთა წინააღმდეგ ყველა საშუალებას იყენებენ. მიმართავენ მასობრივ რეპრესიებს. ზოგიერთ საწარმოში პოლიციელების, ჟანდარმერიისა და ეგრეთწოდებული „უშიშროების რესპუბლიკური რაზმების“ ჯარისკაცების დასახმარებლად ტანკები გაიგზავნა [illegible] საფრანგეთის რეაქცია [illegible], რათა ჩაახშოს საფრანგეთში სოციალური ბრძოლა, რომელიც სულ უფრო მწვავდება.

იტალიაშიც გაძლიერდა რეაქციული ძალების შეტევა მშრომელთა დემოკრატიულ უფლებებზე.

ამერიკის კაპიტალის მიერ იტალიის დამონებისა, და მმართველი პარტიების გამცემლური ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად მარშალიზებული იტალია ეკონომიური კრიზის პირას აღმოჩნდა. მისი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შარშან, მრეწველთა კონფედერაციის აშკარად შემცირებული გამოანგარიშებითაც კი, ომამდელზე 15-20 პროცენტით დაბალი იყო. მნიშვნელოვნად დაეცა სოფლის მეურნეობის დონეც. იტალიაში გამეფებულია უმაგალითო უმუშევრობა. მიმდინარე წლის დამდეგს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობამ 2 მილიონს გადააჭარბა. მშრომელთა მასობრივ გაღატაკებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ კვალიფიციური მუშის საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმის ნახევარსაც ვერ ფარავს.

იტალიელი ხალხი სულ უფრო გაბედულად აცხადებს პროტესტს მმართველი წრეების ანტიხალხური, პროამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ. გასული წლის მარტო 8 თვის მანძილზე საგაფიცვო მოძრაობაში, იტალიური პრესის ცნობებით, 2.289 ათასი კაცი მონაწილეობდა.

ხალხის მზარდი აღშფოთების ჩასახშობად იტალიის მთავრობამ 17 მარტს მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ეგრეთწოდებული „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ საგანგებო ღონისძიებათა შესახებ. ეს ღონისძიებანი იტალიელ ხალხს ართმევენ უკლებლად ელემენტარულ სამოქალაქო უფლებებს და აქეზებენ პოლიციის თვითნებობას. მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, გლეხთა მიერ თავიანთ უფლებათა დაცვა გამოცხადებულია უკანონოდ, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებს ადგილებზე ენიჭებათ განუსაზღვრელი უფლებანი მშრომელთა კრებებისა და დემონსტრაციების ასაკრძალავად. ამავე დროს აძლიერებენ პოლიციის კონტინგენტებს.

იტალიის ხელისუფალთა ღონისძიებებმა ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო აღშფოთება გამოიწვია. იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დე გასპერის მთავრობა „მოქმედებს იტალიური საზოგადოების ყველაზე რეაქციული ჯგუფების სასარგებლოდ“ და „ამერიკელ იმპერიალისტთა პირდაპირი ბრძანებით, რომელთაც დასავლეთ ევროპაში დემოკრატიულ თავისუფლებათა მოსპობა მიაჩნიათ დემოკრატიული და სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის მომზადების ერთ-ერთ პირობად“. ასევე შეაფასეს მთავრობის სადამსჯელო ღონისძიებანი იტალიის სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმაც.

უკანასკნელ დღეებში იტალია დიდი ამბების ასპარეზი გახდა. ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასები სულ უფრო გაბედულად აცხადებენ პროტესტს მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ. ხელისუფალნი კი, ამ პროტესტის ჩასახშობად მიმართავენ ისეთ სასტიკ ღონისძიებებს, როგორიცაა უმუშევართა დემონსტრაციის დახვრეტა ლენტელაში.

მაგრამ, რაც უფრო ცოფდება რეაქცია, მით უფრო ამჟღავნებს იგი თავის უძლურებას საყოველთაო სახალხო აღშფოთების წინაშე, ეგრეთვე თავის უუნარობას — გამოიყვანოს იტალია იმ მეტად მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც ეს ქვეყანა ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათმა იტალიელმა აგენტებმა ჩააყენეს.

ოკეანისგაღმელ იმპერიალისტებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების თავის კოლონიებად და ნახევარკოლონიებად გადაქცევით სურთ თავიანთი აგენტურის დახმარებით ჩაახშონ მშრომელთა ბრძოლა დემოკრატიული უფლებებისათვის, მშვიდობისა და პროგრესისათვის. საფრანგეთისა და იტალიის ამბები მოწმობენ, რომ მსოფლიო ბატონობის ამერიკელი პრეტენდენტებისა და მათი დასავლეთევროპელი თანამონაწილეების ეს ღონისძიებანი ამაოა.

**პ. რისაკოვი**

# პარტიის კასპის რაიკომის მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამას წინათ მოისმინა პარტიის კასპის რაიკომის მუშაობის ანგარიში და დასახა ღონისძიებანი იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რომლებიც პარტიის კასპის რაიკომს ჰქონდა თავის მუშაობაში.

რა ნაკლოვანებანი ჰქონდა პარტიის კასპის რაიკომის მუშაობას?

რაიონული კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, უხვი და მყარი მოსავლის მიღების საქმეს, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა და კომუნისტებს შორის პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

პარტიის რაიკომი სუსტად იბრძოდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში შესრულების სისტემატური შემოწმების, მომთხოვნელობისა და ბოლშევიკური პრინციპულობის დანერგვისათვის. პარტიულ ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ყოველივე ამის გამო რაიონში სოფლის მეურნეობა სერიოზულად ჩამორჩება. 1940 წლიდან მას არც ერთხელ არ შეუსრულებია მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმები, ხოლო 1949 წელს მიღებულია ომამდელ პერიოდზე ნაკლები მოსავალი. ასეთი დაბალი მოსავლის მიზეზი ნათესების უხარისხოდ მოვლა-დამუშავებაა.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმები რაიონს არც ერთხელ არ შეუსრულებია, რაც არა მარტო გვალვისა და წყლის ნაკლებობის ბრალია, როგორც ამას რაიონში დაბეჯითებით აღნიშნავდნენ, არამედ უმთავრესად ჭარხლის თესვისა და მოვლა-დამუშავების საქმეში აგროტექნიკური წესების უხეში დარღვევის პირდაპირი შედეგია. 1940 წელს რაიონში მიღებულ იქნა ჰექტარზე 155 ცენტნერი ჭარხალი, ხოლო 1949 წელს 118,4 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 215 ცენტნერისა.

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს ისიც, რომ დროზე არ ხდება ნათესების მორწყვა.

მოუვლელობის გამო ძალიან მცირეა ყურძნის მოსავლიანობაც. მაგალითად, 1940 წელს ჰექტარზე მიღებულ იქნა 12,3 ცენტნერი ყურძენი, ხოლო 1949 წელს—18,6 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36,5 ცენტნერისა.

თუ 1940 წელს კოლმეურნეობებში ჰექტარზე მიღებული იყო 9 ცენტნერი ხილი, 1949 წელს მიღებულია მხოლოდ 5,5 ცენტნერი. მოუსავლიანობის მთავარი მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ბაღებში არ ხორციელდება აგროტექნიკური ღონისძიებანი.

ასევე დაბალია ბოსტნეულის მოსავლიანობაც.

რაიონში არის 356 კილომეტრი სიგრძის 67 არხი, რომელიც რწყავს სულ 14.898 ჰექტარს, აქედან 11.258 ჰექტარ საკოლმეურნეო ფართობს, ანუ მთელი სათესი ფართობის 66 პროცენტს. ქმედითი ზომების მიუღებლობის შედეგად ადგილი აქვს წყლის დატაცებისა და სარწყავი ქსელის არარაციონალურად გამოყენების ფაქტებს. მიუხედავად იმისა, რომ რაიონული ორგანიზაციები წყლის ნაკლებობას უჩიოდნენ, ისინი დამაკმაყოფილებელ ზომებს არ იღებდნენ რაიონისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე თეზიოკამის არხის მშენებლობის ვადაზე დამთავრებისათვის.

ცუდი მდგომარეობაა რაიონში მეცხოველეობის განვითარების დარგშიც. კოლმეურნეობებს საანგარიშო პერიოდში თითქმის არც ერთხელ არ შეუსრულებიათ მეცხოველეობის განვითარების გეგმები დედა-პირუტყვისა და მუშა-საქონლის სულადობის ხაზით. 99 კოლმეურნეობიდან 4 სახის ფერმა აქვს მხოლოდ 45 კოლმეურნეობას; ყურადღება არ ექცევა ჯიშთა გაუმჯობესების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და ნამატის შენარჩუნების საქმეს. მოუვლელობის შედეგად ადგილი აქვს პირუტყვის სიკვდილიანობას, დიდია რაიონში დედა პირუტყვის ბერწიანობა, ერთობ დაბალია წველადობა.

შეუწყნარებელი ჩამორჩენაა მეფრინველეობის დარგში. წლების მანძილზე არ სრულდება მეფრინველეობის განვითარების გეგმები.

კასპის მტს-ი სისტემატურად ვერ ასრულებს სატრაქტორო სამუშაოების გეგმებს.

ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტის გამო სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის მხრივ ერთობ სუსტად გამოიყურება რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა. რაიონის 99 კოლმეურნეობის ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება 1949 წლისათვის შეადგენდა 18.481.501 მანეთს. რაიონში არც ერთი მილიონერი კოლმეურნეობა არ არის. მოუწყობელია კოლმეურნეობათა გამგეობების კანტორები, ხოლო 8 კოლმეურნეობის კანტორა მოთავსებულია დაქირავებულ ბინებში.

კოლმეურნეობები, შრომადღეებზე ანაწილებენ რა შემოსავლის მცირე პროცენტს, დანარჩენს ხშირად არადანიშნულებისამებრ იყენებენ. ცალკეულ კოლმეურნეობებში არის ფულადი და ნატურშემოსავლის განიავებისა და მითვისების ფაქტები. არის საკოლმეურნეო მიწების განიავების შემთხვევებიც.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ აფასებენ საერთო კრების როლს, მნიშვნელოვანი საკითხებიც კი არა წყდება კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე.

რაიონის კოლმეურნეობებში 1948 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 547 კოლმეურნეს, ხოლო 1949 წლის სამ პერიოდში—1.030 კოლმეურნეს. ზოგიერთ კოლმეურნეობაში შემცირებულია შრომისუნარიანთა რიცხვი და არასწორად აკუთვნებენ შრომისუნარმოკლებულთა კატეგორიას შრომისუნარიან კოლმეურნეებს. ამის გამო ბრიგადების გარეშე დარჩენილია შრომისუნარიან კოლმეურნეთა ნაწილი. მაგალითად, სოფელ დოესის კოლმეურნეობა „შრომის სხივში“ 358 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან ბრიგადების გარეშეა დარჩენილი 87 შრომისუნარიანი კოლმეურნე, სოფელ ზემო ხანდაკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში — 310 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 29 კოლმეურნე და ა. შ.

ყველა კოლმეურნეობაში მოსავლიანობის გეგმები ბრიგადებს მიცემული აქვთ თანაბრად, ნიადაგის თავისებურების გაუთვალისწინებლად. ყველგან პრაქტიკაში არ არის შემოღებული ბრიგადებში ცალკეული კოლმეურნეებისათვის ტექნიკური კულტურების მიჩენა ინდივიდუალური წესით მოსავლელად. ხშირად ნაკვეთები არასწორად აქვთ მიმაგრებული ოჯახებს, რაც ხელს უშლის მუშახელის რაციონალურად გამოყენებას. შემოწმებულ კოლმეურნეობათა უმრავლესობაში მოუწესრიგებელია შრომადღეების აღრიცხვა და ადგილი აქვს გათანაბრებას.

ძალიან ცუდად მუშაობენ კოლმეურნეობებში სარევიზიო კომისიები, რომელთა საქმიანობას არავინ უწევს კონტროლს. რევიზიებს აქვთ შემთხვევითი ხასიათი.

კასპის რაიონის ტერიტორიაზე არის დიდი მნიშვნელობის საწარმოო ობიექტები ცემენტისა და შიფერის ქარხნები, რომელთა მუშაობას საკმაო ყურადღებას არ უთმობდა პარტიის რაიკომი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს მეტეხის მექანიზებული აგურის ქარხნის მშენებლობა, რომელიც საექსპლოატაციოდ უნდა იქნას გადაცემული მიმდინარე წელს. რაიკომს არ მიუღია სათანადო ზომები ამ მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფისათვის, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თეძამის ტუფის კარიერი. აქ საწარმოო დავალებები წლითიწლობით არ სრულდება, ნაკლებად ზრუნავენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებისათვის. პარტიის რაიკომს გასულ წელს ერთხელაც არ განუხილავს თეძამის ტუფის კარიერის მუშაობის საკითხი.

უკანასკნელ ხანებში რაიონულმა კომიტეტმა თითქმის შეწყვიტა პარტიაში მიღება და ნაკლებ ყურადღებას უთმობს იგი პარტიის რიგების ხარისხობრივ ზრდას. რაიონის 36 კოლმეურნეობაში დღემდე არ არის შექმნილი პირველადი პარტორგანიზაციები, ხოლო არსებული საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციები ძალიან ცუდად მუშაობენ. დამახასიათებელია ისიც, რომ რაიკომის ბიუროს დადგენილებებს პირველადი პარტიული ორგანიზაციები ან სრულიად არ იღებენ, ანდა იღებენ მეტად დაგვიანებით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ბიუროს დადგენილებათა განხილვა დაგვიანებით ხდება, რის გამოც მრავალი მათგანი შეუსრულებელი რჩება.

ირღვევა საწესდებო ვადები რაიკომის პლენუმების მოწვევისა. 1949 წელს მოწვეულია მხოლოდ 3 პლენუმი. პლენუმზე არ იხილება პარტიული და სამეურნეო მუშაობის აქტუალური საკითხები. ცუდად არის დაყენებული პარტიულ აქტივთან მუშაობა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობაში სუსტად დგას შინაპარტიული მუშაობა, არარეგულარულად და დაბალ პოლიტიკურ დონეზე ეწყობა კრებები, რომლებზეც გამოაქვთ ზერელე და არაფრისმთქმელი დადგენილებანი; არასაკმარისადაა გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა; მთელ რიგ მსხვილ პირველად პარტიულ ორგანიზაციებშიც კი არ იწვევენ პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომებს, პარტიული ორგანიზაციის მუშაობას თვითნებურად წარმართავს მდივანი.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენების შედეგად დაბალია კომუნისტების ავანგარდული როლი საკოლმეურნეო შრომაში. მაგალითად, სოფელ სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 22 კომუნისტიდან შრომადღეების მინიმუმიც კი არ გამოუმუშავებია 12 კომუნისტს, სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში—24 კომუნისტიდან 14 კომუნისტს და ა. შ.

კადრების შესწავლის, დაწინაურებისა და განაწილების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც იწვევს მუშაკთა ცვალებადობას და გავლენას ახდენს მუშაობის ხარისხზე. ეს განსაკუთრებით ეხება კოლმეურნეობების გამგეობებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, პარტიული ორგანიზაციების მდივნებს. მარტო 1948-49 წლებში შეიცვალა კოლმეურნეობის 20 თავმჯდომარე. მაგალითად ქვემო ჩოჩეთის კოლმეურნეობა „სიმართლეში“ 1945 წლის იანვრიდან დღემდე შეიცვალა 5 თავმჯდომარე, ამჟამად მეექვსე მუშაობს, აქედან 3 განთავისუფლებულია სუსტი მუშაობისათვის. სოფელ სარიბარის კოლმეურნეობა „შრომაში“ 1945 წლის თებერვლიდან შეიცვალა 4 თავმჯდომარე. ამჟამად მუშაობს მეხუთე თავმჯდომარე. ოთხივე წინა თავმჯდომარე განთავისუფლებულია სუსტი მუშაობისათვის.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სასოფლო საბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეთა ცვალებადობის მხრივ.

პარტიის რაიკომი არადამაკმაყოფილებლად ასრულებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 30 დეკემბრისა და 1948 წლის 7 ივლისის დადგენილებებს კასპის რაიონულ პარტორგანიზაციაში კადრებთან მუშაობის შესახებ. ნაკლები ყურადღება ექცევა მომზადებული და განათლებული ამხანაგების დაწინაურებას ნომენკლატურულ სამუშაოებზე. ეს განსაკუთრებით ეხება კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, საბჭოს თავმჯდომარეებს და სხვა. სულ რაიკომის ნომენკლატურული მუშაკებიდან 186 კაცი, ანუ 33 პროცენტი, დაბალი განათლებითაა. პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ვერ შეძლო დაეკომპლექტებინა სათანადო კადრებით აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება, რომელსაც აკლია 9 სპეციალისტი. რაიკომში არ არის შექმნილი კადრების ნამდვილი ქმედითი რეზერვი დასაწინაურებლად.

პარტიული განათლების ქსელში არის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები. პროპაგანდისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის თეორიულ-პოლიტიკური მომზადების დონე დაბალია; პროპაგანდისტთა სამივე სემინარში მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა, მეცადინეობა ეწყობა თვეში ერთხელ, ნაცვლად ორისა. არის პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები.

საღამოს პარტიულ სკოლაში არ ასწავლიან სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, პარტიული და საბჭოთა მუშაობის საკითხებს. სერიოზული ნაკლოვანებანია პარტიული და

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საყოველთაო გაფიცვა იტალიაში

რომი, 23 მარტი. (სატასი). [illegible] სრული შეწყვეტით, საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერებით, გაზრობის შეფერხებით, გაფიცვაში მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო რაიონების გლეხებისა და მოჯამაგირეების მონაწილეობით, ემილიის, ტოსკანის პროვინციებში მატარებელთა მოძრაობის შეფერხებით და გაფიცულთა და მოსახლეობის მრავალი მასობრივი მიტინგითა და დემონსტრაციით.

როგორც გაზეთი „უნიტა“ აღნიშნავს, მშრომელი მასების საბრძოლო სულისკვეთება და დარაზმულობა ამ გაფიცვის მსვლელობაში უფრო დიდი იყო, ვიდრე წინანდელი გაფიცვების დროს, და უფრო ძლიერ იგრძნობოდა მოსახლეობის საშუალო ფენების სოლიდარობა გაფიცულებსა და დემონსტრანტებთან.

მილანსა და სესტო-სან-ჯოვანში გაიფიცა მთელი მრეწველობა და საქალაქო ტრანსპორტი. მშრომელთა გაბედულმა მოქმედებამ პოლიციას მთელი რიგი უნაყოფო ცდების შემდეგ ხელი აიღებინა განზრახვაზე, რომ დემონსტრანტთა კოლონებს პროვოკაციულად დასხმოდა თავს. მშრომელებმა შეიპყრეს და განაიარაღეს ფაშისტი ბანდიტები, რომლებიც ქალაქში ავტომანქანებით დადიოდნენ. მონცაში, მილანის მახლობლად, განადგურებულ იქნა „იტალიის სოციალური მოძრაობის“ ფაშისტ წევრთა ბუნაგი.

მილანის ცენტრში სტიქიური მიტინგები იმართებოდა. პოლიციამ მიტინგებში მონაწილეობისათვის სასამართლო დევნა აღძრა კომუნისტ სენატორის მონტანიანის, სოციალისტ დეპუტატის რიკარდო ლომბარდისა და შრომის პალატის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ტურინში გაფიცული იყო მრეწველობის მშრომელთა 100 პროცენტი. ათი ათასობით კაცმა მიიღო მონაწილეობა მიტინგში შრომის პალატის შენობის წინ, მიუხედავად პოლიციის სისტემატური თავდასხმისა.

დიდი და ერთსულოვანი იყო გაფიცვა გენუაში. სავსებით შეწყდა ნავსადგურისა და ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა. დახურული იყო ყველა საფაბრო საწარმო, მეტი წილი დაწესებულებანი და ბანკები. პოლიციამ ვერ გაბედა ხელი ეხლო ლობურებისათვის, რომლებიც მშრომელებმა მათს კონტროლქვეშ მყოფ ზოგიერთ უბანში მოაწყეს. ერთ-ერთ მოედანზე გრანდიოზული მიტინგი გაიმართა.

სავონაში სერიოზული შეტაკება მოხდა გაფიცულთა და პოლიციას შორის. პოლიცია იძუ- [illegible] ტინგებსა და დემონსტრაციებს. ვიტერბოში პოლიცია იძულებული გახდა წასულიყო ცენტრალური მოედნიდან. ქალაქ მანტოვაში ცხრა დემონსტრანტი დაიჭრა მოსახლეობასა და პოლიციას შორის შეტაკების დროს. იყო აგრეთვე ინციდენტები ვენეციაში, სადაც ყველა საწარმომ და წყლის ტრანსპორტმა მუშაობა შეწყვიტეს.

რომი ხუთი საათის განმავლობაში მშრომელთა და პოლიციის განუწყვეტელი შეტაკების ასპარეზი იყო. პოლიციამ მტკიცედ გადაღობა გზა მოედნისაკენ, სადაც დანიშნული იყო მიტინგი, და დემონსტრანტებს ერეკებოდა ქუჩებიდან. პოლიციის მოქმედება რომში ბარბაროსული უხეშობით განირჩეოდა. განურჩევლად აპატიმრებდნენ გამვლელებსა და დემონსტრანტებს. მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება კერძო სახლებში. სატვირთო მანქანებით საპატიმროებში მიყვანილ პატიმართა რაოდენობამ 1.500 კაცს მიაღწია. პოლიცია ცდილობდა შეჭრილიყო შრომის პალატაში, მაგრამ უკუგდებულ იქნა. მშრომელები ქალაქის ბევრ პუნქტში მედგარ ბრძოლას ეწეოდნენ თავით ფეხამდე შეიარაღებული პოლიციელების წინააღმდეგ. დაჭრილნი და ნაცემნი ასობით ითვლება, მათ შორის ცოტა როდია პოლიციელი. ქალაქის ერთ-ერთ პუნქტში პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებმაც პაპის ბაზილიკი სანტა მარია მაჯორეს ამბიონი დაიკავეს, აამოქმედა ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოტანილი ახალი ავტოტუმბოები, რომლებიც სპეციალურად მოწყობილია მაღალი წნევის წყლის ნაკადით დემონსტრაციების გასარეკად.

სამხრეთ იტალიაში გაფიცვის მთავარი კერები იყო ნეაპოლი და კალაბრიის ცენტრები, სადაც განსაკუთრებით ძლიერია მოჯამაგირეთა მოძრაობა მიწისათვის, აგრეთვე ქალაქები ბარი და ტარანტო.

ნეაპოლში გაფიცული იყვნენ სამრეწველო საწარმონი, საქალაქო ტრანსპორტი და ბევრი დაწესებულება. გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც დემონსტრაციად გადაიქცა. მას თავს დაესხა პოლიცია. არიან დაჭრილები. უფრო სერიოზული შეტაკება მოხდა ბარში, სადაც პოლიცია ცდილობდა მიტინგი გაერეკა, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას შეხვდა. დაჭრილ დემონსტრანტთა შორის ერთი სიკვდილის პირასაა.

# სამხრეთ კორეის პარტიზანთა წარმატებითი საბრძოლო მოქმედება

ფხენიანი, 24 მარტი. (სატასი). [illegible] მელიც ამერიკელებმა შეადგინეს, და ირწმუნებოდა, ზამთრის დადგომამდე ჩემი არმია პარტიზანებს ბოლოს მოუღებსო... ამერიკის მარიონეტებმა მთელი სამხრეთი კორეა გაყვეს ხუთ რაიონად და თვითეულ რაიონში თითო სადამსჯელო დივიზია გაგზავნეს. გარდა ამისა, ყოველ დივიზიას შეუერთეს პოლიციის დიდი ძალები და ტერორისტთა რაზმები. იქვე გაიგზავნა ამერიკელთაგან მიღებული თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ძირითადი მასა.

სახმელეთო ჯარების ოპერაციებს ხელს უწყობდა ავიაცია. ამერიკელ ოფიცრებს, რომლებმაც სადამსჯელო ოპერაციის გეგმა შეიმუშავეს, ესმოდათ, რომ პარტიზანთა მოსპობა არ შეიძლება, თუ მოსპობილ არ იქნა ხალხის მასები, რომლებიც მხარს უჭერენ პარტიზანებს. ამიტომ ისინი პირველ რიგში შეეცადნენ დაერღვიათ პარტიზანთა კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან. 1949 წლის 25 დეკემბერს მარიონეტულმა მთავრობამ აუკრძალა კურეს, ხამიანის, სანჩენის, ხანდონის მაზრებისა და ჩირისანის მთების მოსაზღვრე სხვა მაზრების მოსახლეობას დაშორებოდა თავის სახლებს 100 მეტრზე მეტი მანძილით, ამით შექმნა აკრძალული ზონა და პარტიზანებს წაართვა სურსათისა და ტანსაცმლის მიღების შესაძლებლობა. ამა წლის 5 თებერვალს აკრძალულ იქნა ყოველგვარი მოძრაობა ჩრდილოეთ კენსანის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონის გზებზე.

პარტიზანთა წინააღმდეგ მოწყობილი სადამსჯელო ოპერაციები ხალხის აღშფოთებასა და რისხვას იწვევს. ამ ოპერაციებმა უფრო გააძლიერეს საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ამერიკელი იმპერიალისტებისა და ლი სინ მანის გამცემლური მთავრობის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მთავრობისა, რომელმაც სავსებით დაკარგა კავშირი ხალხთან და ამით დააჩქარა თავისი დაღუპვა.

ჩირისანის რაიონის პარტიზანები, რომლებიც წინასწარ მოემზადნენ ზამთრის ბრძოლებისათვის, შეტევაზე გადავიდნენ, სასტიკად დაამარცხეს მარიონეტული ჯარები სანჩენის მაზრაში, უკუაქციეს ისინი და დაიკავეს სამაზრო ცენტრი მიუდიუ. ასე ჩაიშალა მთლიანად სადამსჯელო ოპერაცია სამხრეთ ჩოლის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში. გასული წლის დეკემბრის ბოლოდან ამა წლის იანვრის მეორე ნახევრამდე მარიონეტული არმიის ორმა დივიზიამ კვლავ შეუტია პარტიზანებს ამ რაიონში. სახმელეთო ჯარების მოქმედებას ხელს უწყობდა ავიაცია. მაგრამ ამჯერადაც პარტიზანებმა ხალხის საუკეთესო შვილების — კიმ დი ხის, ხონ სუნ სეკისა და სხვების სარდლობით მთლიანად გაანადგურეს მტერი. ამავე დროს ჩრდილოეთ კენსანის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონის პარტიზანებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს შემტევი მარიონეტუ- [illegible] სადაც თავმოყრილი იყო სამი დივიზია ლი სინ მანის საუკეთესო მეთაურების სარდლობით. პარტიზანთა გასანადგურებლად წამოწყებულ ზამთრის ოპერაციებს პირადად ხელმძღვანელობდნენ ეროვნული თავდაცვის მინისტრი და სახმელეთო ძალების შტაბის უფროსი.

თებერვლის დამლევს სამარი მოქმედების რაიონი ინახულეს ლი სინ მანის არმიის მთავარმა სამხედრო მრჩეველმა, ამერიკელმა გენერალმა რობერტსმა, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებას, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იგივეწოდებული კორეის კომისიის წევრებმა.

მარიონეტული მთავრობა ვარაუდობდა ორი თვის განმავლობაში სავსებით გასწორებოდა ორი უდიდესი პარტიზანული რაიონის — ჩირისანისა და თხიაბიაქსანის რაიონების პარტიზანებს, მაგრამ იგი ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა და დღემდე ვერ გაუბედავს განახლოს შეტევა".

„სახალხო გმირების ძალები, — წერს დასახელებული გაზეთი, — განუწყვეტლივ იზრდება და მათ ვერავითარი არმია ვერ ჩაახშობს, ვინაიდან ისინი არიან ძალები მთელი ხალხისა, რომელიც ანტიხალხური რეაქციული ხროვის წინააღმდეგ იბრძვის".

ფხენიანი, 24 მარტი. (სატასი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, თხიაბიაქსანის რაიონის პარტიზანული რაზმები, რომლებიც გაბედულად გადავიდნენ შეტევაზე ლი სინ მანის არმიის სადამსჯელო ნაწილების წინააღმდეგ, ანადგურებენ ჯარებისა და პოლიციის ნაშთებს. 16 მარტს პარტიზანთა ერთი დიდი რაზმი კანვონის პროვინციის სამხრეთი ნაწილის ურიდონის მაზრაში გარს შემოერტყა მე-2 დივიზიის მე-5 და მე-16 პოლკების ნაშთებს და დიდი ზარალი მიაყენა მათ. მეორე პარტიზანული რაზმი 250 კაცის რაოდენობით უკანდახეულ ნაწილებს დაედევნა, ენიანის მაზრის (ჩრდილოეთ კენსანის პროვინცია) სოფელ სუხადოში გარს შემოერტყა ლი სინ მანის ჯარების სამ ასეულს და მთლიანად მოსპო ისინი. იმავე პროვინციის ენდეკის მაზრაში პარტიზანებმა გააფთრებული ბრძოლის შედეგად გაანადგურეს 25-ე პოლკის 1-ლი ბატალიონის ოთხი ასეული. მარიონეტული არმიის ორი ოცეული ჩანსუნის თემის პარტიზანებმა მოსპეს.

გაზეთი „ნორიონძია“ იუწყება, რომ პარტიზანთა საბრძოლო მოქმედებას ყველგან თან ახლავს გლეხთა გამოსვლები. ჩრდილოეთ კენსანის, სამხრეთ კენსანისა და სამხრეთ ჩოლის პროვინციების გლეხები გაბედულად უსწორდებიან რეაქციონერ მემამულეებსა და გამცემლებს, აგრეთვე მართავენ მიტინგებს, რომლებზეც იღებენ გადაწყვეტილებას — თავიანთი ძალებით გაატარონ მიწის რეფორმა.

# ისლანდიაში შეიქმნა სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება

რეიკიავიკი, 21 მარტი. (სატასი). დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც დღეს აქ გაიმართა და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ისლანდიის საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლებმა, დამთავრდა საბჭოთა კავშირთან ისლანდიის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ორგანიზაციული გაფორმება. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ცნობილი ისლანდიელი მწერალი ჰალდორ კილიაკ ლაქსნესი.

კრებას დაესწრო 800 კაცი. რეიკიავიკის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ მოიწონა ამ საზოგადოების შექმნა.

# ჩეხოსლოვაკიაში განაჩენი გამოუტანეს ჯაშუშთა ჯგუფს

პრაღა, 23 მარტი. (სატასი). ქალაქ გოდონინში სახელმწიფო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ჩეხოსლოვაკიის ხალხის 14 მოღალატის — უცხოეთის ჯაშუშებისა და ტერორისტების საქმეზე განაჩენი გამოიტანა.

ბრალდებულ იაროსლავ ვეტეშკას, ეროვნული უშიშროების კორპუსის ლეიტენანტის მკვლელს, სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, ბრალდებულ მ. კროუპალოვას — სამუდამო პატიმრობა; მ. ბეჩკას, ვატიკანის ჯაშუშს — 30 წლის პატიმრობა; ამერიკის დაზვერვისა და ვატიკანისათვის ჯაშუშთა კადრების შემგროვებელს კათოლიკე მღვდელ პორიზკას — 15 წლის პატიმრობა. დანარჩენ ბრალდებულებს მიესაჯათ პატიმრობა 4-დან 30 წლამდე ვადით. ამას გარდა, ყველა ბრალდებულს დაედო ჯარიმა და ჩამოერთვა სამოქალაქო უფლებები სხვადასხვა ვადით.

სასამართლოს განაჩენს ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა.

# ბულგარეთის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ჯაშუშთა ჯგუფს

სოფია, 22 მარტი. (სატასი). სოფიის საოლქო სასამართლომ დაამთავრა იმ ჯგუფის საქმის განხილვა, რომელიც შეიქმნა 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ სამამულო ფრონტის სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ მტრული საქმიანობისა და ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის.

ბრალდებულმა სტეფანე მანოვმა ჩვენებაში აღიარა, ჯერ კიდევ 1940 წლიდან ვიყავი დაკავშირებული ინგლისის დაზვერვასთან მისი აგენტის კირილე სლავოვის მეშვეობითო.

სხვა ბრალდებულებმაც დაწვრილებით ილაპარაკეს თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

ყველა ბრალდებულმა სავსებით აღიარა დანაშაული და თავიანთი დანაშაულობის სიმძიმე.

სასამართლომ სტეფანე ვასილევ მანოვს მიუსაჯა მუდმივი პატიმრობა, ყველა უფლების აყრა, ჯარიმა და ნაწილი ქონების კონფისკაცია. დიმიტრ მიხაილოვ სიმნალიევს — 15 წლის მკაცრი პატიმრობა, 20 წლით უფლებათა აყრა, ჯარიმა და ნაწილი ქონების კონფისკაცია. პენკა ვასილევ რადევს, ვასილ ივანოვ რაკოვსკის, ქრისტე ვასილევ ზუევსა და პეტრე ცვეტკოვ ავრამოვს — 10 წლის მკაცრი პატიმრობა, 11 წლით უფლებათა აყრა, ჯარიმა და ნაწილი ქონების კონფისკაცია, გაჩო ეფტიმოვ ანგელოვს — 8 წლის მკაცრი პატიმრობა, 10 წლით უფლებათა აყრა, ჯარიმა და ნაწილი ქონების კონფისკაცია.

# ფინეთის სეიმში

ჰელსინკი, 23 მარტი. (სატასი). იმასთან დაკავშირებით, რომ ფინეთის სეიმმა დააკმაყოფილა ახლანდელი პრემიერ-მინისტრის კეკონენის თხოვნა სეიმის თავმჯდომარის პოსტიდან მისი გადადგომის შესახებ, დღეს მოეწყო სეიმის ახალი თავმჯდომარის არჩევნები. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულია ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფაგერჰოლმი (სოციალ-დემოკრატიული პარტია).

# პარტიის კასპის რაიკომის მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ

(დასასრული)

საბჭოთა აქტივის მუდმივად მოქმედი სემინარის მუშაობაში.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა უმრავლესობა ფაქტიურად ჯერ კიდევ არ შესდგომია საქმეს, ხოლო პარტიული ორგანიზაციები მათ არადამაკმაყოფილებელ დახმარებასა და კონტროლს უწევენ. იშვიათად ეწყობა ლექციები ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. იშვიათად იმართება კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში პოლიტიკური მოხსენებები. ლექტორები და პოლიტმომხსენებლები არ არიან დამტკიცებული რაიკომის ბიუროზე; არ ხდება მოხსენებების წერილობითი სახით წარმოდგენა და წინასწარი რეცენზირება.

ნაკლები ყურადღება ექცევა აგიტატორების შერჩევას და აგიტაციის ხარისხს.

მცირე რაოდენობითაა რაიონში კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები. შარშან რაიონში მხოლოდ ათი ქოხ-სამკითხველო და 3 ბიბლიოთეკა იყო. ძალიან ცუდად მუშაობენ არსებული ქოხ-სამკითხველოები და ბიბლიოთეკები. მათ არ გააჩნიათ საჭირო ლიტერატურა და ინვენტარი. რაიონის 15 საბჭო დარჩენილია კინომომსახურების გარეშე, არსებული მოძრავი კინოდანადგარიც ფაქტიურად გამოუყენებელია.

არსებითს ნაკლოვანებებს აქვს ადგილი რაიონის სკოლების მუშაობაში. 1948-49 სასწავლო წელს მოსწავლეთა მოსწრება შეადგენდა 74,3 პროცენტს. რაიონის სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით.

სერიოზული ნაკლოვანებებია კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების და კომკავშირის რაიკომის მუშაობაში. პარტიული ორგანიზაციების მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად ძალიან სუსტად მუშაობს საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების უმეტესობა.

რაიონში 783 კომკავშირელი ჩაბმული არ არის პოლიტიკურ სწავლებაში, დაბალია კომკავშირული პოლიტწრეების მუშაობის დონე. დაბალია კომკავშირელთა ავანგარდული როლი საკოლმეურნეო შრომაში. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, პარტიის კასპის რაიკომის ბიუროს 1949 წელს არც ერთხელ არ განუხილავს კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის საკითხები.

სერიოზული ნაკლოვანებანია მშრომელთა დეპუტატების კასპის რაისაბჭოს აღმასკომის და სასოფლო საბჭოების მუშაობაში.

აღმასკომი და პარტიის რაიკომი უყურადღებობას იჩენენ რაიონული ცენტრის კეთილმოწყობისადმი. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში აქ მხრივ ძალიან ცოტაა გაკეთებული.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ კონკრეტული ღონისძიებანი დაუსახა კასპის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის და სათანადო ორგანიზაციული ზომებიც განახორციელა.

ახლა ამოცანა ის არის, რომ რაიონის თვითეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს გავაცნოთ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის კასპის რაიკომის მუშაობის შესახებ. საჭიროა რადიკალურად გარდაიქმნას რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. რაიონის ბოლშევიკებს, მშრომელებს მოეთხოვებათ გააჩაღონ შემოქმედებითი მუშაობა არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის, ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ღონისძიებათა განუხრელი განხორციელებით მიაღწიონ კასპის რაიონის რესპუბლიკის მოწინავე რაიონების რიგებში ჩაყენებას.

**ალ. მერცხულავა**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე.

# ჭადრაკი

## საქართველოს XI პირველობა

24 მარტს გათამაშდა მეშვიდე ტური.

ძლიერი და საინტერესო თამაშით ტურნირის ლიდერმა ა. ბლაღიძემ მოუგო მორჩილაძეს.

ტიმოფეევმა მოუგო არზუმანიანს, შიშოვმა — არონშტეინს, გერშკოვიჩმა — ინწკირველს.

ოსტატობის კანდიდატმა სოროკინმა პირველთანრიგოსან კრიხელთან ვერავითარი უპირატესობის მიღება ვერ მოახერხა და მათი პარტია ყაიმით დამთავრდა. ასევე ყაიმით დამთავრდა გაგუა-ფრუიძის პარტია.

ალამალიან-მალაშხიას, გიორგაძე-კირკიტაძის და ქარსელაძე-ბუსლაევის პარტიები გადაიდო. გადადებულ პარტიებში უპირატესობა აღამალიანის, გიორგაძის და ბუსლაევის მხარეზეა.

მეშვიდე ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერია ა. ბლაღიძე, რომელსაც აქვს 6 ქულა.

# თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ახალი სეზონის წინ

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი გაცხოველებით ემზადება ახალი საფეხბურთო სეზონისათვის. სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. სოკოლოვისა და სპორტის ოსტატის მინაევის ხელმძღვანელობით გუნდი ჯერ კიდევ იანვრიდან შეუდგა წვრთნას.

გუნდმა საზამთრო წვრთნა გაიარა სპორტულ დარბაზებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალი ტექნიკური ილეთების შესწავლას, გამძლეობას, ბურთის მიწოდებას, დარტყმის სიზუსტეს, ტაქტიკის ათვისებას და სხვ.

გარდა სპორტული წვრთნისა, გუნდში დიდი ყურადღება ექცევა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობას.

გუნდი ამჟამად წვრთნას გადის შავი ზღვის სანაპიროზე კურორტ ლესელიძეში (გაგრის რაიონი).

წელს გუნდის შემადგენლობა შევსებულია ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშეებით. 1950 წელს სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ბ. პაიჭაძე, გ. გაგუა, ვ. პანიუკოვი, ს. შუდრა, ვ. ლოლობერიძე, გ. ანთაძე, ა. ზაზროშვილი, ი. სარჯველაძე, ვ. მარღანია, ნ. ძიაპშბა, მ. პელიძე, რ. მახარაძე, ნ. თოდრია, მ. ჯოჯუა, გ. გარიშვილი, გ. ელოშვილი და სხვები.

გუნდს რეზერვად შეემატნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეები ი. ვარდიმიადი (სოხუმი), ნადარეიშვილი (გუდაუთა), რუსაძე და ჯავახაძე (ქუთაისი), ჰკუასელი (35-ე სკოლა) და სხვები.

გუნდის კაპიტანია სპორტის ოსტატი გ. გაგუა.

გუნდი ლესელიძეში დარჩება მარტის ბოლომდე. აპრილში გუნდი ჩაატარებს რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას შავი ზღვის სანაპიროზე საწვრთნელად ჩამოსულ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს გუნდებთან.

# პრემიერა ლ. მესხიშვილის სახელმწიფო თეატრში

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ლოპე დე-ვეგას სამმოქმედებიანი დრამა „ცხვრის წყარო“.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, მხატვრულად გააფორმა გ. ცომაიამ. მუსიკა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ თ. ვახვახიშვილს.

# ლექცია

**28 მარტს, საღამოს 7 საათზე,** საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (შაუმიანის მოედანი № 3) აწყობს **ზ. სიმონიშვილის ლექციას თემაზე: „ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები სოციალისტური განვითარების გზაზე“.**

# ნეკროლოგი

## ვარლამ სიმონიშვილი

ქალაქ მახარაძეში [illegible] ქართული ხალხური სიმღერების საუკეთესო ოსტატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვარლამ ოქროპირის-ძე სიმონიშვილი.

სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. სიმონიშვილი მდიდარ ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორს ეწაფება. ოთხი წლის განმავლობაში იგი სიმღერებს სწავლობს ანტონ დუმბაძისაგან. 19 წლის ახალგაზრდას ნიშნავენ მახარაძის (ოზურგეთის) სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლად. პარალელურად იგი მასწავლებლობს შემოქმედის, გონებისკარისა და უჩხობის სკოლებში.

ვ. სიმონიშვილმა პირველად 1903 წელს ჩამოაყალიბა გურული სიმღერების შემსრულებელთა გუნდი 15 მომღერლის შემადგენლობით. ამ საქმეში ახალგაზრდა ენთუზიასტს დახმარებას უწევდა მომღერალი ფილიმონ ქორიძე, რომელიც მას ლოტბარობასა და ნოტებს ასწავლიდა. 1906 წელს ვ. სიმონიშვილმა ჩამოაყალიბა გურულ-აჭარული გუნდი, ხოლო 1910 წელს შექმნა გურულ ახალგაზრდათა გუნდი, რომელიც წლების მანძილზე მართავდა კონცერტებს ბათუმსა და თბილისში. 1917 წელს თბილისში, ოპერის თეატრში გამართულ დიდ კონცერტში მიხეილ კავსაძის ქართლ-კახურ გუნდთან ერთად მონაწილეობა მიიღო გურულ-აჭარულმა გუნდმა ვ. სიმონიშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ვ. სიმონიშვილი უფრო ენერგიულად შეუდგა მუშაობას საგუნდო საქმის განვითარებისათვის. მახარაძეში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში იგი ადგენს გუნდებს, ასწავლის მათ რევოლუციურ სიმღერებს და პროლეტარიატის ჰიმნ „ინტერნაციონალს“. 1927 წელს ვ. სიმონიშვილის გუნდი გაიგზავნა მოსკოვს სუმბათაშვილ-იუჟინის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ საღამოში მონაწილეობის მისაღებად. 1929 წელს სიმონიშვილი ადგენს გუნდს მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკაში 90 ქალ-ვაჟის შემადგენლობით. 1932 წლიდან იგი ხელმძღვანელობს საბჭოთა არმიის ერთ-ერთ გუნდს თბილისში. მისმა გუნდმა გამარჯვება მოიპოვა 1938 წელს გამართულ წითელარმიელთა ოლიმპიადაზე.

თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ვ. სიმონიშვილმა მრავალი ლოტბარი გამოზარდა, მისი გუნდი კი ოლიმპიადებსა და შეჯიბრებებში მუდამ მოწინავეთა რიგებში იყო.

ვ. სიმონიშვილს ეკუთვნის მთელი რიგი პოპულარული სიმღერები — „გაზაფხული“, „იცოცხლე, ჩვენო სტალინო!“, „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ და სხვები.

ხალხური საგუნდო საქმის განვითარებაში თვალსაჩინო წარმატებისათვის ვ. სიმონიშვილს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

**ამხანაგების ჯგუფი**

# თეატრებში

**26 მარტს: ოპერისა და ბალეტის** — „ჯამბაზები“ და კონცერტი დ. დონატოვის მონაწილეობით (დილით), „დონ-კიხოტი“ (მე-9 აბ. მე-10 სპექტაკლი, საღამოს ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „უჩა უჩარდია“ (დილით), „დიდი ხელმწიფე“ (საღამოს, მე-15 სერიის მე-8 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვინ არის დამნაშავე“ (დილით), „მოძღვარი“ (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — „ფარული ომი“ (დილით), „ყოველთვის ყველიერი როდია“ (საღამოს); **სომხური დრამის** — „ჩაძირული ქვები“ (დილით, მოსწ. აბ. № 11), „ქორ-ოღლი“ (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „არსენა ოძელაშვილი“ (დილით), „სოფლის საამო საღამოები“ (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გაქვავებული ქალაქი“ (48-ე აბ. 10 ს., 39-ე აბ. 2 ს.), „უცნაური სიმღერა“ (59-ე აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ფინისტი“ (82-ე აბ. 10 ს., 105-ე აბ. 1 ს.), „კრაზანა“ (8 ს.); **თოჯინების ქართული** — „მამლაყინწას თავგადასავალი“ (11. 4 ს.), „ნანა ტყეში“ (1 ს.); **თოჯინების რუსული** — „ტურფა კურდღელი“ (11 ს.), „მერია და ტუზრია“ (1, 3 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოს კურორტოლოგიის და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს პათომორფოლოგიური ლაბორატორიის უფროს მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება შემდეგი საბუთებით: (სამ ეგზემპლარად), კადრების აღრიცხვის ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, ხარისხის ან წოდების მინიჭების საბუთები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების სია, სამეცნიერო ნაშრომები, ცნობა სამსახურის სტაჟის აღნიშვნით და ფოტოსურათი.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება მიიღება დირექციაში (ლენინის ქ. № 49).

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგებლობაზე გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე დართული უნდა ჰქონდეს (ორ-ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომების ასლები; სამსახურებრივი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერულ შრომათა სია და მთავარი მეცნიერული შრომები (თითო ცალად).

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში: თბილისი, მარის ქ. № 1, ტელეფონი № 3-37-02.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების და სამეცნიერო ხარისხის დიპლომის პირები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების სია და ნაშრომები, ფოტო სურათი.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (მელიქიშვილის 16).

მოქალაქე **ნასყიდ ალექსანდრეს-ძე მაისურაძემ,** მცხოვრებმა კრწანისის ქ. № 34, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნაზიკო ვასილის ასულ წიკლაურთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

ნ. სარქისოვი, გ. ჩარექიშვილი, ს. ბახტაძე, ვ. საქსაგანსკი, ქ. ბუხრაძე, ა. ჟვანია, ლ. შონია, ე. ჩიხლაძე, ნ. ტიმოფეევა, ნ. კიკნაძე, ვ. გვენცაძე და ე. კისელია თანაგრძნობას უცხადებენ ვ. დ. შარაძენიძეს მისი მამის **დიმიტრი შარაძენიძის** გარდაცვალების გამო.

შვილები თამარ, საშა, ვახტანგ, ძმა საბა, დაები ხიზანიშვილები, მაზლი ზურაბ ნამორაძე მეუღლით, სიძეები ს. ბენდიაშვილი, ლ. ციხელაშვილი, შვილიშვილები შალვა, ჟენია, რძლები მარო და ნორა იუწყებიან **ეფემია ანდრიას ასულ ნამორაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-III, 7 ს. გამოსვენება 28-III, 5 ს. მე-3 ტუპის შესახვევი, 1.

ვ. არეშოვი, ქ. გურული, ს. მელქუმოვი, დ. ჩიქოვანი, ლ. თოიძე, ქ. მალანია, ვ. მარკარიანი, ა. საფონი, ნ. მაღალდაძე, შ. ნოდია, ნ. დისამიძე, პ. ნოზაძე თანაგრძნობას უცხადებენ დ. თალაკვაძეს მისი მამის **მახიკო არჯევანის-ძე თალაკვაძის** გარდაცვალების გამო.

საქვაჭრობის ცხაკაიას განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ჟუჟუ ბესარიონის-ძე ჯანჯღავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-III, ქ. ცხაკაიაში, კოლექტივიზაციის, 8.

ძმები პეტრე, გიორგი, რძალი ელენე, ალექსანდრა, ლიდია და ალბერტ გაბუნიები, ვალია, გრიშა და შალვა ცეკვაშვილები იუწყებიან პროვიზორ **ბესარიონ ბესარიონის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას.

შვილები ანეტა, ნინო, მარო, დავით, რძალი ელენე, შვილიშვილები ნოდარ, თინათინ, ნარგული და ვალერი ბარამიძეები იუწყებიან **ფოტინე გიორგის ასულ ბარამიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-III ჭაგანში (სამტრედიის რაიონი).

გ. ნ. ზამბახიძე, თ. ნ. ქვლივიძე, ა. პ. ჯიშიაშვილი, ნ. ბ. გაბუნია თანაგრძნობას უცხადებენ ე. ი. ჩერქეზიას **იასონ ისიდორეს-ძე რუხაძის** გარდაცვალების გამო.

გ. ფირცხალავა, ე. ჯაფარიძე, ქ. ჯოხიძე, პ. კობრეიძე, ი. ბულეიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ი. ბახტაძეს მისი დედის **ანეტას** გარდაცვალების გამო.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გ. კაკაბაძეს მისი დედის **ელენე ესტატეს ასულ კაკაბაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 28-III, ს. პატარა კუხში (წულუკიძის რაიონი).

მარო, ელისაბედ, ნელი, შოთა თითბერიძეები, თამარ ჯაფარიძე იუწყებიან **ნინო სიმონის ასულ გელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-III, ქ. სურამში.

ვ. გუგუნავა, ი. გვაძაბია, ქ. შარტავა, ა. ძაძამია, ს. ეჯიბია, ვ. კუჭავა, დ. ჰუბაბრია, პ. ლატარია, ნ. კაკაშვილი, ს. ნასარაია, გრ. ურიდია, ნ. შონია იუწყებიან **ჟუჟუ ბესარიონის-ძე ჯანჯღავას** გარდაცვალებას.

მეუღლე ლიზა, შვილები შურა, ვალოდია, ტატიანა, დონარა, ტარასი, ძმა კაპიტო იმნაძეები, სიძე ნიკოლოზ, რძალი ნატაშა და შვილიშვილები იუწყებიან **ილიკო ბესარიონის-ძე იმნაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-III, 4 ს. მეორე გურჯაანის, 6.

ს. გვაზავა, გ. ლაცაბიძე, მ. კობეშავიძე, ი. ქავთარაძე, ა. ქორიძე, ლ. ხურცილავა, ვ. ჰედია, გ. დავითულიანი, ნ. აკოფოვი, გ. კარანაძე, შ. კენჭაძე, ს. კოჰლავაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ დ. თალაკვაძეს მისი მამის **მახიკო არჯევანის-ძე თალაკვაძის** გარდაცვალების გამო.

ვერა, გიორგი თალაკვაძეები, ციალა, ოთარ ჯავახიშვილები, ნინო, გიორგი მანჯგალაძეები, ვარია, მამუკა საყვარელიძეები, კლარა აბუსერიძე, ეთერ, გრიგოლ თალაკვაძეები თანაგრძნობას უცხადებენ თამარ და დავით თალაკვაძეებს მათი მამის **მახიკოს** გარდაცვალების გამო.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00132